პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1981 წელი
ხუთშაბათი
4 ივნისი
№130 (18072)
ფასი 2 კაპ.

კანონის სახელით

ითქმის ყოველი სამსჯავრო სხდომის დროს ხალხმრავლობაა ქალაქ ქუთაისის ლენინის რაიონის სახალხო სასამართლოს შენობაში. მშრომელები ვრცელ, კეთილმოწყობილ სასხდომო დარბაზში მოხერხებულად ისმენენ საქმეს, ნათლად ერკვევიან ვითარებაში და, ცხადია, საჭირო ცხოვრებისეული დასკვნებიც გამოაქვთ.

ამ სასამართლო პროცესებისადმი მახვილი დაინტერესება იმითაც არის გამოწვეული, რომ ყოველთვის კარგად არის ორგანიზებული სასამართლოს სამსჯავრო სხდომა, შრომას არ იშურებენ მისი ნორმალური მომზადებისა და სწორად წარმართვისათვის. რა თქმა უნდა, სახალხო სასამართლოს ასეთი პრაქტიკული მოღვაწეობა, საკანონმდებლო ასეთი ვითარების შექმნა ხელს უწყობს ხალხის სამართლებრივი ცოდნის ამაღლებას, კანონების პროპაგანდას, აღმზრდელობითი და პროფილაქტიკური მუშაობის კიდევ უფრო გაღრმავებასა და გაუმჯობესებას.

ახლა ჩვენს რესპუბლიკაში სასამართლო პროცესების ორგანიზებულად მოწყობას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა, რადგან იგი პროფილაქტიკური მუშაობის და მახვილის სამართლებრივი აღზრდის მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენს. უკანასკნელ ხანებში ჩვენი რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების ზრუნვის შედეგად ბევრი რამ გაკეთდა სახალხო სასამართლოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განამტკიცებლად. აშენდა ახალი შენობები, რეკონსტრუირებულია არსებული დარბაზები. ამ მხრივ განიმუშოდ მოეწყო საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს შენობა, მისი დარბაზები და კაბინეტები. უკანასკნელ ხანს კარგი შენობები გადაეცათ სახალხო სასამართლოებს გურჯაანში, კასპში, ფოთსა-ფონში, ქობულეთში, მცხეთაში და სხვა რაიონებსა და ქალაქებში. ერთი სიტყვით, ბევრი საყურადღებო რამ გაკეთდა და მოგვარდა იმისათვის, რომ ჩვენი სახალხო სასამართლო წარმოადგენდეს საბჭოთა კანონის გამტარებელ, ნამდვილ აღმზრდელობითს ორგანოს, დანაშაულებათა და დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის ოპერატიულ ძალას.

საბჭოთა სასამართლო ხალხის დამსახურებული პატივისცემითა და ნდობით სარგებლობს, იგი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს სამართლებრივიგანა და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცებაში, შრომელთა აღზრდაში კანონისადმი პატივისცემის, სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებისა და წესების ზუსტად დაცვის ულისკენებით. ჩვენი სასამართლოს ავტორიტეტი ემყარება ნამდვილ დემოკრატიულ საფუძველს — მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა არჩევითობას და ანგარიშგებას, სასამართლო საქმეთა გახილვის საჯაროობას, პროცესებში საზოგადოებრივ ბრალმდებელთა და დამცველთა მონაწილეობას. ყველაფერი იქითკენ არის მიმართული, რომ სასამართლო და სხვა ადმინისტრაციული ორგანოები უფრო სიზუსტით იცავდნენ კანონებს, პროცესუალურ ნორმებს.

მაგრამ რა ნორმებს დაცვასა და სასამართლო პროცესების საჯაროობის ეფექტიანობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა ზოგიერთი სახალხო სასამართლოს უბრალოდ სხდომის დარბაზიც კი არა აქვს და საქმის განხილვა მოსამართლის ვიწრო კაბინეტში მიმდინარეობს. ასე, მაგალითად, იგივე ქალაქ ქუთაისის მეორე რაიონს — ავტომაჯრნის რაიონის სახალხო სასამართლოში, რომელსაც შენობა ჯერ კიდევ 1979 წელს გამოეყო, მაგრამ მის გაგიაენურებულ სარეკონსტრუქციო სამუშაოებს საშველი არ დაადგა. მართალია, საჭირო თანხა დროულად და საკმაო რაოდენობით გამოიყო, მაგრამ რაიხაბეგოს ალმასკომმა ქმედითი ზომები არ მიიღო მისი საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის. უთუოდ ამიტომ არის, რომ ამ სასამართლო სხდომებს თითქმის ვერავინ ეესწრება. ამას ისიც ემატება, რომ სასამართლო სხდომები ხშირად დაგვიანებით იმართება, ზოგჯერ კი ჩაშლილა კიდეც. სათანადო შენობების უქონლობის გამო ცუდ მდგომარეობაში უხდება მუშაობა აგრეთვე თბილისის ლენინის, გლდანის, საგრის, ქარელის, ბორჯომის და ზოგიერთი სხვა სახალხო სასამართლოს.

ამას წინათ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე აღინიშნა, რომ ქუთაისის ლენინის, ავტოქარხნის, თელავის, ხაშურის და ზოგიერთი სხვა რაიონისა და ქალაქის სახალხო სასამართლოში სამსჯავრო სხდომების დონე ჯერ კიდევ არ შეეხაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. ისინი ზოგჯერ დაგვიანებით იწყებენ, შინაგან საქმეთა განყოფილებები ვერ უზრუნველყოფენ დამნაშავეთა დროულ მოყვანას სხდომაზე. ამ მიზეზით, მაგალითად, თბილისის სახალხო სასამართლოებში, ხაშურში რამდენჯერმე ჩაშლილა სასამართლო პროცესი.

ცნობილია, თუ რა მაღალ შეფასებას აძლევდა ვ. ი. ლენინი სასამართლოს როლს ჭეყნის სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების გადაწყვეტაში, დისციპლინის, საზოგადოებრივი მართლწესრიგის, ორგანიზებულობის განმტკიცებაში. და დღეს ეს მითითება განსაკუთრებით აქტუალურია. სკკპ XXVI ყრილობამ და საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობამ დიდი მასშტაბური ამოცანები დაგვიხატეს საბჭოთა კანონების მტკიცედ და განუხრელად შესრულების საქმეში. ამ ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა მუშაობის ყველა დონეზე, ყველა უბანზე შეიქმნას მაღალი მოთხოვნელობის, მტკიცე დისციპლინის, დაკისრებული საქმისათვის პასუხისმგებლობის ჯანსაღი ატმოსფერო. ერთი სიტყვით, კანონის დამცველმა, მართლმსაჯულების ყველა რგოლმა და მისმა მუშაკებმა უწინარესად თვითონვე უნდა უზრუნველყონ წესიერება და წესრიგი მუშაობის ყველა რგოლში, მკაცრად დაიცვან პროცესუალური ნორმები, განუხრელად შეასრულონ კანონის მოთხოვნები, პუნქტუალურად შეადგინონ იურიდიული დოკუმენტები.

მაგრამ ფაქტები მოწმობს, რომ ზოგჯერ სახალხო სასამართლოები ვერ ითვალისწინებენ სწორად შედგენილი და იურიდიულად დასაბუთებული დოკუმენტების დიდ აღმზრდელობითს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მნიშვნელობას. ხშირად სასამართლო დოკუმენტებს, განაჩენებს, გადაწყვეტილებებს, განჩინებებს აგვიანებენ უწიგნურად, უხარისხოდ, იურიდიულად არასწორად. ხშირად სამსჯავრო სხდომის ოქმები დაწერილია გაუგებრად, სტილისტურად გაუმართავად და, ცხადია, ასეთი დოკუმენტები ძნელად იკითხება, ბუნდოვანია და ადამიანი ვერ გაიგებს რაზეა ლაპარაკი.

სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ არცთუ ისე იშვიათად ამ მიზეზებით ზემდგომ სასამართლო ორგანოებში იცვლება ან უქმდება განაჩენები. ასეთი ფაქტები იყო თბილისის ზოგიერთი რაიონის, თელავის, ქუთაისის და სხვა ქალაქებისა და რაიონების სახალხო სასამართლოების მუშაობის პრაქტიკაში.

ჩვენი გაზეთის სარედაქციო ფოსტაში ბლომად არის მასალები ამის შესახებ, თუ რა კეთილ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებაზე და როგორი პროფილაქტიკურ-აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს გამსჯელელ სასამართლო პროცესებს. მაგრამ მუშაობის ასეთი პრაქტიკას ჩვენი ზოგიერთი სახალხო სასამართლო თავს არიდებს. უთუოდ გაუმჯობესებას საჭიროებს გამსჯელელ სასამართლო სესიებზე საქმეების მომზადებისა და განხილვის საქმე. სასამართლოები ზოგჯერ ფორმალურად ეკიდებიან პროცესებში საზოგადოებრივი ბრალმდებლებისა და საზოგადოებრივი დამცველების მონაწილეობის საქმეს, არ ესაუბრებიან მათ, არ განუმარტავენ კანონებს, მოქმედებისა და ქცევის წესებს, მხარეთა უფლება-მოვალეობას. ამის გამოა, რომ საზოგადოებრივი ბრალმდებლები და დამცველები აქტიურად არ მონაწილეობენ სამსჯავრო სხდომებში. ერთი სიტყვით, ამ აქტუალურ და საჭირო საქმეს ჯეროვანი ყურადღება და საქმიანი მიდგომა სჭირდება.

უდავო ჭეშმარიტებაა, რომ კანონი მაშინ ცოცხლობს და მოქმედებს, როცა იგი სრულდება თანამიმდევრულად, ყველას მიერ და ყველგან. საჭიროა, რომ სასამართლო ორგანოები თავიანთ მოღვაწეობაში მეტ ინიციატივას იჩენდნენ, იყვნენ კანონების მოთხოვნების დონეზე. როცა განაჩენი გამოაქვს, სასამართლომ უნდა გათვალისწინოს, რომ სასჯელი არა მარტო დასჯაა დანაშაულისათვის, არამედ იგი მიზნად ისახავს მსჯავრდადებულთა გამოსწორებას, ხელახლა აღზრდას, აგრეთვე ახალ დანაშაულთა თავიდან აცილებას.

კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებისათვის ზრუნვა ჩვენი პარტიის ორგანიზატორული და იდეოლოგიური მუშაობის განუყოფელი ნაწილია. პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა ორგანოების, მთელი ჩვენი საზოგადოების ამოცანა ის არის, რომ ყოველი ღონე იხმაროს, რათა სახალხო სასამართლოები განუხრელად ამორციელებდნენ კანონს, იზრუნონ მათი მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფისათვის, კარგი სამუშაო პირობების შექმნისათვის.

შრომა დაუფასდა

მაღალი კლასის ხარატი, წარმოების ნოვატორი, მეცხრე და მეათე ხუთწლედების დამკვრელი, ახალგაზრდების დამრიგებელი — აი წარჩინებული ბათუმელი მანქანათმშენებლის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ვლადიმერ დოლიძის დახასიათების არასრული ნუსხა. შრომაში თვალსაჩინო მოღწევებისათვის მას მიენიჭა საქართველოს სსრ 1981 წლის სახელმწიფო პრემია. წარმოების ვეტერანი აქტიურად მონაწილეობს ჩაისა და ღვინის მრეწველობისათვის მანქანებისა და ტექნოლოგიური მოწყობილობის შექმნაში.

განსაკუთრებული აღმავლობით შრომობს ახლა ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის — ჩვენს ქვეყანაში იმ ერთადერთი საწარმოს კოლექტივი, რომელიც უშვებს მოწყობილობას ჩაის მრეწველობისათვის. ამ დღეებში პეტრე ვოლოშინის ამწყობთა ბრიგადამ დაიწყო ახალი როლერების გამოშვება ჩაის ფაბრიკებისათვის. ისინი თავიანთ წინამორბედებთან შედარებით ორჯერ უფრო მწარმოებლურია.

სურათებზე: საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, ხარატი ვლადიმერ დოლიძე; ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხანაში მიმდინარეობს ახალი როლერების „გიგანტების“ აწყობა. მათ აწყობენ ბრიგადირი პეტრე ვოლოშინი, მიხეილ კურედოვი და სავლე მეტაქი.

ნ. ანასტასიევის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

რესპუბლიკის მთავარი გამოფენა

რუკაზეა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ათობით წითელი, მწვანე, თეთრი, ისისფერი, ყვითელი, ცისფერი ჩირაღდანი ციმციმებს. ეს არის სასარგებლო წიაღისეული და ელექტროგადამცემი ხაზები, ხუთწლედის ახალმშენებლობანი, მომავალი გიგანტი ქარხნები.

საქართველოს სს რესპუბლიკის რუკით, დიდი ლენინის, ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელის, თანამედროვეობის გამოჩენილი მარქსისტ-ლენინელის ლენინდ ილიას ძე ბრეჟნევის დიდი პორტრეტებით იწყება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საიუბილეო ექსპოზიცია.

მთელი გამოფენა, ათასობით მისი ექსპონატი მკაფიოდ მოწმობს საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის უდიდეს მიღწევებს, დიდ ცვლილებებს, რომლებიც შეეხო რესპუბლიკის ცხოვრების ყველა მხარეს, რესპუბლიკის მშრომელთა დაპირიბას — დამკვრელური შრომით, ახალი წარმატებებით უპასუხონ საბჭოთა საქართველოსა და რესპუბლიკის კომპარტიის მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილ ზეიმობაზე ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის გამოსვლებში მოცემულ რჩევასა და მითითებებს.

„საბჭოთა საქართველოს 60 წელი“ — ასე ეწოდება საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის საიუბილეო ექსპოზიციას. 3 ივნისს გამოფენას ეწვევენ ამხანაგები ე. ა. შევარდნაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, თ. ნ. მეთივაშვილი, ზ. ა. პატარაიძე, ტ. ვ. როსტიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჭითანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, თ. ი. მოსაშვილი, ი. ნ. ორჯონიკიძე.

„საქართველოში საქმე კარგად მიდის“ — თქვა ლენინდ ილიას ძემ, და ამ სიტყვებს სიამაყით იმეორებს რესპუბლიკის თითოეული კომუნისტი, თითოეული მშრომელი. ეს სიტყვები მკაფიოდ აისახა ყოველ პავილიონში, განყოფილებაში, გამოფენის თითოეულ ექსპონატში. „ძმიმე მრეწველობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის“ პავილიონში მინიატურულად არის წარმოდგენილი რესპუბლიკის მთელი მრეწველობა. რესპუბლიკის ხელმძღვანელებმა აქ ყურადღება დაუთმეს ისეთ ახალ პროდუქციას, როგორიცაა ვლ-11 მარკის ელმავლები, ეშ-180 მოდელის ელექტროშტაბელერები, „კოქსსაქრობი და კოქსსაზიდი ვაგონები, გადნობილ ლითონში ფხვნილისებრი რეაგენტების შესაყვანი დანადგარი, რომელიც ინერგება რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, ელექტრული მანქანების დასამზადებელი მოწყობილობა, სპეციალური სატვირთო საბაგირო გზები „რიკოთი-1“, „რიკოთი-2“ და „აცანა-1“, ჩაის სასხლავი ხელის აპარატები რჩა-350, ვიბრაციული მკვებავები, კონვეიერები და სხვ.

რესპუბლიკის ხელმძღვანელები დაწვრილებით გაეცნენ ექსპონატებს, რომლებიც ასახავენ ფუნდამენტურ და გამოყენებითს გამოკვლევებს, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში რომ ხორციელდება. აქვეა წარმოდგენილი მაკეტები დანადგარებისა, რომელთა მეშვეობით მიიღება მადნეულის სპილენძის კონცენტრატებისა და ჰიათურის წვრილსორტული მანგანუმის მადნის გადამუშავების გზით სპილენძის ფხვნილი და ელექტროლიზური მანგანუმორჟანგი, დახურული მადანთერმული ელექტროღუმელები, სოფლის მეურნეობის კულტურების დაავადებებისა და მავნებლებთა წინააღმდეგ ბრძოლის ახალი პრეპარატები...

ბევრი საინტერესო რამ არის წარმოდგენილი „მშენებლობისა და არქიტექტურის“ პავილიონში. აქ არის მთებში მომავალი ქალაქების, შავი ზღვის სანაპირო კლდეებზე მრავალსართულიანი სახლების მაკეტები, უნიკალური ზემტკიცე და მსუბუქი საშენი მასალები.

დაწვრილებით გაეცნენ რესპუბლიკის ხელმძღვანელები ექსპონატებს, რომლებიც წარმოდგენილია მსუბუქი და ადგილობრივი, მრეწველობის სხვა დარგების, ლიტერატურის, ხელოვნებისა და პოლიგრაფიის პავილიონებში.

განმარტებას იძლევნენ სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელები, საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მუშაკები.

ამხანაგმა ე. ა. შევარდნაძემ მაღალი შეფასება მისცა გამოფენაზე წარმოდგენილ ექსპონატებს. საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენა ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ რის უნარი შეგვწევს, იგი ჩვენი შესაძლებლობების საღი შეფასებაა.

გამოფენა არ უნდა გახდეს მხოლოდ დათვალიერების ობიექტი. ახლა მთავარია მივაღწიოთ, რომ მასზე წარმოდგენილმა მთელმა პროდუქციამ მიიღოს „დიდი ცხოვრების საგზური“, დაინერგოს სამრეწველო სერიად, გაჩნდეს სავაჭრო ქსელში, ემსახუროდეს ერთიან მიზანს! „ყველაფერი ადამიანისათვის, ყველაფერი ხალხის კეთილდღეობისათვის“ (საქინფორმი).

„თბილისგვირაბმშენის“ № 218 სამშენებლო-სამონტაჟო მატარებლის მებეტონეთა ბრიგადა წარმატებით იბრძვის მომდინარე წლის გეგმების შესასრულებლად. ამ კოლექტივმა ვადამდე გაართვა თავი ხუთი თვის დავალებას და ივნისში კიდევ უფრო უმატა შრომის ტემპს. მებეტონეებს გამარჯვებას ულოცავენ თბილისის № 51 საშუალო სკოლის გ. ტაბიძის სახელობის პიონერული რაზმეულის წევრები.

ს. კილაძის ფოტო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავუფრთხილდეთ სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებს

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა პარტიულმა კომისიამ და საქართველოს სსრ სახალხო კონტროლის კომიტეტმა შეამოწმეს, თუ როგორ სრულდება საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს დადგენილება რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა შესახებ.

ამ საკითხზე იმსჯელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმაც. აღინიშნა, რომ რესპუბლიკის პარტიის რაიკომებისა და საქალაქო კომიტეტების, სახალხო დეპუტატთა საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომების, სამინისტროებისა და უწყებების უმრავლესობა ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელთა მიზანია სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ხარჯვაში სახელმწიფო წესრიგის განმტკიცება და მომჭირნეობის რეჟიმის დაცვისადმი კონტროლის გაძლიერება. ამასთან დაკავშირებით უურადღებას იმსახურებს საქართველოს კომპარტიის თბილისის, ქუთაისის, გორის, გაგრის საქალაქო კომიტეტების, საქართველოს კომპარტიის მახარაძის, ხაშურის, ვანის, ახმეტის, ასპინძის, ქარელის, შუა ხევის, ქალაქ თბილისის ლენინის რაიკომების დადებითი გამოცდილება. ისინი სისტემატურად განხილავენ ენერგორესურსების მომჭირნედ ხარჯვის საკითხებს, აწყობენ მასობრივ შემოწმებებს, დათვალიერება-რეიდებს, უნარიანად ხელმძღვანელობენ პირველადი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობას, აქტიურად აბამენ ამ მუშაობაში პარტიულ კომისიებსა და სახალხო კონტროლის კომიტეტებს.

ამ დიდმნიშვნელოვან სახალხოსამეურნეო საქმეში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისათვის გეგმაზომიერ და მიზანმიმართულ მუშაობას ეწევიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები. სათბობის, ელეკტრო და თბოენერგიის რაციონალურ გამოყენებასთან დაკავშირებულ მრავალ დიდმნიშვნელოვან საკითხს განიხილავენ სათბობის რესპუბლიკური კომისია და მეტი წილი ადგილობრივი ანალოგიური კომისიები. პარტიულ და საბჭოთა ორგანოებს, აგრეთვე სამეურნეო ხელმძღვანელებს ქმედითს დახმარებას უწევენ სახალხო კონტროლორები, რომლებმაც გააქტიურეს ბრძოლა მომჭირნეობისათვის.

მიმდინარე წლის პირველი თვეებიდანვე რესპუბლიკაში გაუმჯობესდა საქმის ვითარება სათბობ-ენერგეტიკული რესურსების როგორც მომარაგებაში, ისე ხარჯვაში, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა 1980-1981 წლების შემოდგომა-ზამთრის პერიოდში სახალხო მეურნეობის ყველა დარგის მუშაობის მაჩვენებლებზე. 1981 წლის პირველ კვარტალში რესპუბლიკაში 33 მილიონი კილოვატსაათი ელეკტროენერგია დაიზოგა.

გასულ წელთან შედარებით 1981 წელს ხარჯვის ნორმები საშუალოდ შემცირდა: ელექტროენერგიისა — 1,2 პროცენტით, თბოენერგიისა — 1 პროცენტით და საქვაბე-საღუმელე სათბობისა — 0,5 პროცენტით.

მეტმა წილმა საწარმოებმა, რომლებიც სამართლიანად გააკრიტიკა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის XXII პლენუმმა სათბობ-ენერგეტიკული რესურსების უყაირათოდ ხარჯვისათვის, სწორი დასკვნები გამოიტანეს კრიტიკიდან, მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში რუსთავის ქიმიური ბოჭკოს ქარხანამ დაზოგა 1241 ათასი კილოვატსაათი ელეკტროენერგია, თბილისის ფოლად-თუჯსამსხმელო ქარხანამ 103 ათასი კილოვატსაათი, ბათუმის მანქანათსაშენებელმა ქარხანამ— 111 ათასი კილოვატსაათი, წნორის მექანიკურმა ქარხანამ — 48 ათასი კილოვატსაათი. თბოენერგია დაზოგეს აგრეთვე თბილისის ფოლადთუჯსამსხმელო ქარხანამ — 274 გიგაკალორია, ბათუმის ნავთობგადასამუშაებელმა ქარხანამ — 144 გიგაკალორია და ა. შ.

საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტმა შეიმუშავა წინადადებანი რესპუბლიკის სათბობ-ენერგეტიკულ ბალანსში მთელ რიგ ენერგოტევად საწარმოთა მეორეული ენერგორესურსების მოსაქცევად, რაც, წინასწარი შეფასებით, შესაძლებელს გახდის ყოველწლიურად დაიზოგოს 200 ათას ტონამდე პირობითი სათბობი. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში 1981 წლის დამდეგიდან კაპიტალურად შეკეთდა 285 ენერგეტიკული დანადგარი, ხელახლა ამოიკირა 15 ორთქლის ქვაბი, ვარვარის ნათურების ნაცვლად დაყენებულია 1,5 ათასზე მეტი ლუმინესცენციური სანათი. ამ და სხვა ღონისძიებათა განხორციელებამ სამინისტროს საშუალება მისცა პირველ კვარტალში დაზოგა 1280 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 7,6 ათასი გიგაკალორია თბოენერგია და 400 ტონა პირობითი სათბობი. მეტ უურადღებას უთმობენ სათბობისა და ენერგორესურსების მომჭირნეობის რეზერვების გამოვლენას საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის, ხე-ტყისა და ხის დამუშავებელი მრეწველობის სამინისტროების, გეოლოგიის სამმართველოს და ამიერკავკასიის „მეტალურგმშენის“ № 1 ტრესტის საწარმოები და ორგანიზაციები. წარმატებებს აღწევენ ქუთაისის საავტომობილო, თბილისის საავიაციო, ელმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნები და საწარმოო გაერთიანება „ელექტროაპარატი“.

ამასთანავე, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი აღნიშნავს, ყველა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელმა როდი გამოიჩინა შესაბამისი გულმოდგინება და პრინციპულობა სათბობ-ენერგეტიკული პრობლემის ეფექტიანი გადაჭრის რეზერვებისა და გზების გამოსანახავად.

საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ (მინისტრი პირველი მოადგილე გ. მეფარიშვილი) ვერ მოაგვარა სათბობისა და ენერგორესურსების ეფექტიანი ხარჯვა, რის შედეგადაც მთელ რიგ საქვეუწყებო ობიექტებზე კვლავ უყაირათობა და მფლანგველობა სუფევს, ბრალეულთ კი პასუხს არ აგებინებენ. მაგალითად, საგარეჯოს საშენ მასალათა ქარხანა (დირექტორი ვ. ბ. დიაშვილი) საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1980 წლის XXII პლენუმზე ახსენეს იმ საწარმოთა შორის, სადაც უყაირათოდ ხარჯავენ ენერგორესურსებს. მაგრამ აქ კვლავინდებურად უკონტროლოდ ხარჯავენ ელექტროენერგიასა და სათბობს. ელექტრომეურნეობა აკარიფულ მდგომარეობაშია, არა აქვთ ელექტრომომარაგების სქემები.

პირველ კვარტალში გურჯაანის აგურის ქარხანამ გადახარჯა 41 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, გარდაბნის მუყაო-რუბეროიდის ქარხანამ — 11,5 ათასი გიგაკალორია თბოენერგია, რუსთავის ცემენტის ქარხანა ჭარბად ხარჯავს ბუნებრივ გაზს: ნაკლოვანებანი არ აღმოფხვრიათ ენერგორესურსების აღრიცხვაში რუსთავის საშენ მასალათა კომბინატს, ახმეტის აგურის ქარხანასა და ტყვარჩელის საშენ მასალათა ქარხანას.

სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენების საქმე კარგად ვერ არის რესპუბლიკის ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს სისტემაში (მინისტრის მოადგილე ა. ქირია), რომლის კოლეგიას არ განუხილავს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს ზემოხსენებული დადგენილება.

თბილისის მუსიკალურ-კლავიშიანი საკრავების ფაბრიკაში (დირექტორი ნ. ბებიაშვილი) გათბობა კვლავ ორთქლით ხდება წყლის მაგივრად; დარღვეულია 11 საშობი საკნის ჰერმეტიზაცია, რომლებიც ამავე დროს ბოლომდე არ არის დატვირთული; მეტ წილ ორთქლსადენებსა და ბოილერებს არა აქვთ თბოიზოლაცია. უმიზნოდ იყენებენ განათებას დღისით, რაციონალურად არ არის დატვირთული ძალური ტრანსფორმატორები. ყოველივე ეს იწვევს იმას, რომ ყოველწლიურად ხედმეტად იხარჯება 14 ათასამდე კილოვატსაათი ელექტროენერგია და 3,2 ათასზე მეტი გიგაკალორია თბოენერგია.

სრულიად არ არის დამაკმაყოფილებელი გარდაბნის ტრიკოტაჟის ფაბრიკის საქვაბისა და თბოქსელის მდგომარეობა, ანალოგიურად არის საქმე ბათუმის ხის დამმუშავებელ კომბინატშიც. მოუგვარებელია გეგეჭკორისა და აბაშის რაიონული სამრეწველო კომბინატების, თბილისის მრავალდარგოვანი კომბინატისა და ცხინვალის მექანიკური ქარხნის ელექტრომეურნეობა.

რაციონალურად არ ხარჯავს სათბობსა და ელექტროენერგიას არც ამიერკავკასიის რკინიგზა (მთავარი ინჟინერი ა. კობიაშვილი). 1981 წლის პირველ კვარტალში რკინიგზის სამტრედიის განყოფილების სოხუმის უბანმა ვერ შეასრულა რეკუპერაციის რეჟიმის დაცვის დავალება, რის გამოც დაიკარგა 84,5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია. მატარებელთა მოძრაობის გრაფიკების მრავალრიცხოვანი დარღვევების, გზაში მათი შეფერხებების, აგრეთვე ვაგონების წონისა და რიცხვის მიხედვით შემადგენლობათა დაუკომპლექტებლობის შედეგად მარტო თბილისის განყოფილებამ წლის დამდეგიდან 700 ათასი კილოვატსაათი ზედმეტი ელექტროენერგია დახარჯა.

ნედლეული და ენერგორესურსების მნიშვნელოვანი დანაკარგები აქვს ბათუმის ნავთობგადასამუშავებელ ქარხანას (დირექტორი ე. გვენცაძე), სადაც რეზერვუარების, მილსადენებისა და საწმენდი ნაგებობების არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობის გამო ათასობით ტონა ნავთობპროდუქტები იკარგება.

კვლავ უყაირათოდ იხარჯება თბო და ელექტროენერგია რუსთავის ქიმიურ ქარხანაში (დირექტორი გ. გოგოლაძე); აქ გადახარჯვამ პირველ კვარტალში შეადგინა 143,6 ათასი გიგაკალორია და 44,5 მილიონი კილოვატსაათი.

ჯერ კიდევ ნაკლებად ეფექტიანად მუშაობენ საქართველოს სსრ სახმომარაგებისა და საქმთავარნავთობმომარაგება-გასაღების ინსპექციები, აგრეთვე რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების საკონტროლო-სარევიზიო სამსახურები ყველა სახეობის სათბობისა და ენერგორესურსების ხარჯვაში უყაირათობისა და მფლანგველობის ფაქტების აღსაკვეთად.

პარტიის ქალაქ თბილისის გლდანის, გარდაბნის, საჩხერის, წალენჯიხის, მესტიის, გეგეჭკორის რაიკომებმა, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივმა საბჭოებმა ვერ მიაღწიეს იმას, რომ ყველგან და მკაცრად იცავდნენ მომჭირნეობის რეჟიმს ყველა სახეობის სათბობისა და ენერგიის ხარჯვაში.

ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ენერგორესურსებისადა საუაბუთებელი ნორმირებისა და ლიმიტირების შემთხვევები, რაც ზოგიერთ საწარმოს საშეალებას აძლევს წარადგინოს ყალბი ანგარიშები მომჭირნეობის შესახებ, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ჭიათურის ელექტრომტრანსპორტის სამმართველოში, თბილისის „საქსოფლმაშენისა“ და „კალინინის სახელობის სამსხმელო მოწყობილობის ქარხნებში, შორაპნის „ელექტროელემენტის“ და სამტრედიის საშენ მასალათა ქარხნებში, აგრეთვე ქუთაისის ბარიტის მაღაროთსამმართველოში.

შეუწყნარებლად ნელა მიმდინარეობს ნაკლოვანებათა აღმოფხვრა რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონული ცენტრების თბომომარაგების სექტორში. საქვაბეებისა და თბოქსელების უმრავლესობის ტექნიკური დონე არ შეესაბამება მოთხოვნებს, ხოლო ახალ სიმძლავრეთა ათვისება ფრიად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. ქალაქების გაგრის, რუსთავის, თელავისა და ფოთის სახალხო დეპუტატთა საბჭოებს 1978 წლიდან პრაქტიკულად არ გამოუყვიათ სახელმწიფო-საბიუჯეტო ასიგნებანი თბომომარაგების დიდ სისტემათა მშენებლობისა და ამოქმედებისათვის, არ დამთავრებულა ფოთის ჯერ კიდევ 1969 წელს დაწყებული რაიონული საქვაბის მშენებლობა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა აგრეთვე აღნიშნა, რომ სადირექტივო ორგანოების მრავალგზის მითითებისა და საჯარიმო სანქციების მიუხედავად მარტო მიმდინარე წლის მარტში 115 საწარმომ ფონდის გადამეტებით იხმარა ბუნებრივი გაზი. არის ბევრი სხვა ნაკლოვანებაც ამ დიდმნიშვნელოვან საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პარტიის რაიონულ, საქალაქო კომიტეტებს, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს, სამინისტროებსა და უწყებებს, საწარმოებს, დაწესებულებებს, მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო ხელმძღვანელებსა და პარტიულ ორგანიზაციებს დაავალა ავლაგაც ინტენსიურად, მიზნადასახულად ებრძოლონ უყაირათობას, აღზარდონ მშრომელთა კოლექტივები სათბობ-ენერგეტიკული რესურსების გამოყენებისადმი მომჭირნე დამოკიდებულების სულისკვეთებით.

პარტიის რაიკომებმა, საქალაქო კომიტეტების მდივნებმა, მინისტრთა მოადგილეებმა, რომლებიც დარგს კურირებენ, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა გაითვალისწინონ, რომ პერსონალური პასუხისმგებლობა აკისრიათ

ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ქვეყნის ეკონომიკურ-სოციალურმა ურთიერთობამ მართვის მეცნიერებას სამართლიანად დაუსახა ახალი ფორმებისა და მეთოდების ძიებისა და მიგნების ამოცანები. სკკპ XXVI ყრილობამ აუარადღება გაამახვილა დაგეგმვის როლის ამაღლებაზე, მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებაზე, სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცებაზე, მართვის ორგანიზაციული სტრუქტურის სრულყოფაზე და შრომელთა ინიციატივის განვითარებაზე.

ეს საკითხები რომ მართვის უშუალო, სისტემურ-ორგანული ელემენტებია, დავას არ იწვევს, მაგრამ ასევე უდავოა აღრიცხვის მაორგანიზებელი როლიც ამ პრობლემების მოწესრიგების საქმეში. მართვის ამოცანა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს მიზანდასახულად, როცა მოპოვებული ინფორმაციის საღრიცხვო გადამუშავების შედეგად მიღებული მასალები დროულად, ზუსტად და რეალურად ასახავენ მოვლენისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და, მაშასადამე, სწორად აფასებენ საქმიანობის, მოვლენის შედეგებს.

პარტია სამართლიანად მოითხოვს დაგეგმვის, როგორც სახალხო მეურნეობის მართვის ცენტრალური რგოლის როლის ამაღლებას, რისთვისაც, ცხადია, საჭიროა დაგეგმვის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც უნდა დაეყრდნონ არსებულს, შექმნილს, მიღწეულს და მის ბაზაზე განსაზღვრონ საწარმოების, საწარმოო გაერთიანებებისა და დარგების მომავალი შესაძლებლობანი. მგეგმავი არის არა სასწაულმოქმედი, არამედ სპეციალისტი, რომელსაც მიღწეულის, მოპოვებულის სწორი გაანალიზებისა და შემდგომ შესაძლებლობათა სწორად განკვეტის სხვაზე უკეთესი უნარი აქვს.

საწარმო ის ძირითადი რგოლია, რომელთანაც მჭიდროდ არის დაკავშირებული მთელი ქვეყნის სახალხო მეურნეობის წარმატებები და, როცა ამ საწარმოს მაჩვენებლებს გეგმავენ მომავალი წლისათვის, ეყრდნობიან მისი წინა წლის ან მსგავს საწარმოთა სააღრიცხვო მონაცემებს. აღრიცხვა არის ის ფენომენი, რომელიც განსაზღვრავს გეგმის ხარისხსა და დონეს. აღრიცხვაში გაპარული უზუსტობა, ზოგჯერ განზრახ და ხშირად უნებლიეთ, აყალებს სინამდვილეს, ამახინჯებს სტატისტიკას და ამიტომ ბლაგვად წარმოგვიდგენს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებასაც. ამიტომ საგეგმო ორგანოების სისტემატური ზრუნვის საგანი უნდა იყოს აღრიცხვის სიზუსტის უზრუნველყოფა.

ხუთწლიანი გეგმა პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის კრიტერიუმია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საზოგადოების მატერიალურ-კულტურული მოთხოვნილების მაქსიმალური დაკმაყოფილება. იგი უნდა ითვალისწინებდეს წარმოების ზრდის, მისი ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, სამუშაო დროისა და მატერიალური რესურსების დაზოგვის ობიექტურ შესაძლებლობას.

პარტია მოითხოვს მომჭირნეობის რეჟიმის გაძლიერებას და სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცებას. პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ქვაკუთხედი უნდა გახდეს საყოველთაო ყაირათიანი დამოკიდებულება საზოგადოებრივი დოვლათისადმი, ჩვენი ხალხის სიმდიდრისადმი. **„ამას უნდა ისახავდეს მიზნად შრომითი კოლექტივების ინიციატივა, პარტიულ-მასობრივი მუშაობა. ამას უნდა ისახავდეს მიზნად ტექნიკური პოლიტიკაც, კაპიტალური დაბანდებათა პოლიტიკაც, საგეგმო საანგარიშო მაჩვენებელთა სისტემაც... ეკონომიკა ეკონომიური უნდა იყოს** — ასეთია დროის მოთხოვნა“. აი როგორ პრინციპულად დასვა ყაირათიანობის საკითხი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევმა. უყაირათობასთან ბრძოლა ხომ ყოველთვის აღრიცხვით იწყება. ყაირათიანობის ცხება რესურსების მიზანშეწონილ ხარჯვას გულისხმობს და აქაც მხოლოდ აღრიცხვით შეიძლება გამოავლინონ მიღწეული შედეგები, გამოუყენებელი რეზერვები და სახვალიო პერსპექტივები.

ეს პრობლემები დღეს რესპუბლიკის ეკონომიკისათვის მეტად აქტუალურია. საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის დაარსებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 60 წლის თავთან დაკავშირებით რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრისას ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბევრი რეზერვია რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის. საწარმოთა დამოუკიდებლობა და სამეურნეო ანგარიშიანობის პრინციპების განვითარება-განმტკიცება ყოველად წარმოუდგენელია მაღალორგანიზებული აღრიცხვის გარეშე. სწორედ აქ გამოდის ბუღალტერია საწარმოთა ეკონომიკის ორიენტირის როლში.

საბჭოთა ბუღალტრული აღრიცხვის მეცნიერება არასოდეს არ ყოფილა ფაქტების რეგისტრატორის როლით შემოფარგლული. იგი ყოველთვის იძლეოდა სამეურნეო მუშაობაში არსებული ხარვეზების გამოვლინების საშუალებას. დღეს, როცა მეტისმეტად გართულდა საწარმოთა ეკონომიკური კავშირურთიერთობანი, ბუღალტერია მათი მიზეზ-შედეგობრივი მხარეების გახსნისა და ახსნის შესაძლებლობას იძლევა. ბუღალტერიამ ოპერატიულობა მოიპოვა, ოპერატიულმა აღრიცხვამ დამოუკიდებლობა დაკარგა და ამჟამად ერთმანეთთან მჭიდროდ შერწყმული ოპერატიულ-ბუღალტრული აღრიცხვის საშუალებით ვანგარიშობთ წარმოებული პროდუქციის თუ შესრულებული სამუშაოს თვითღირებულებას. ასეთი შესაძლებლობა მხოლოდ ბუღალტერიას აქვს.

მატერიალური წარმოების სფეროში ბუღალტერია ის მეცნიერებაა, რომელიც გამოავლენს მომარაგების, წარმოებისა და რეალიზაციის შედეგებს, აწესრიგებს საანგარიშსწორებო და სამეურნეო ურთიერთობას, ავლენს და დანშნულებისამებრ მიმართავს ფინანსურ შედეგებს, იცავს იურიდიულ ნორმებს და მკაცრ კონტროლს უწევს სამეურნეო საქმიანობას. ყოველივე ეს მართვის სამეურნეო-ორგანიზატორული ფუნქციებია, რომელთა მკაცრად დაცვის გარეშე არავითარი სიმკაცრე არ უშველის მუშაობის ყაირათიანობას და სამეურნეო ანგარიშიანობის განმტკიცებას.

ამიტომ მართვა წარმოუდგენელია სწორი აღრიცხვის გარეშე. აღრიცხვისა და კონტროლის საკითხები იმდენად მნიშვნელოვანია თანამედროვე სოციალიზმის ეკონომიკისათვის, რომ ისინი წინა პლანზე უნდა წამოვწიოთ. ისე უნდა დაისვას საკითხი, რომ აღრიცხვამ საყოველთაო აღიარება მოიპოვოს, ხოლო აღრიცხვის მუშაკმა შესაბამისი პატივისცემა და დაფასება. უნდა გაუმჯობესდეს აღრიცხვის მაღალკვალიფიციური კადრები მომზადების საქმე. უნდა განხორციელდეს დამატებითი ღონისძიებები სპეციალისტთა მატერიალური და მორალური სტიმულირების გასაუმჯობესებლად.

არსებული პირობები ვერ უზრუნველყოფს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების ვერც გამოშვებას და ვერც აღრიცხვის სფეროში მოზიდვას. ეკონომიკაში მათემატიკური მეთოდების, გამოთვლითი ელექტროტექნიკის ფართოდ დანერგვის გარეშე დღევანდელ გართულებულ ეკონომიკურ და საანგარიშსწორებო ურთიერთობას ჩვენი სააღრიცხვო მეცნიერებანი ვერ ასახავს იმ სისწრაფით და სიზუსტით, როგორც ამას სამეურნეო საქმიანობის მართვის ინტერესები მოითხოვს. მაშასადამე, აღრიცხვის მათემატიზაცია, ცენტრალიზაცია, ელექტრიფიკაცია და ავტომატიზაცია არის ერთადერთი სწორი გზა, რომელიც, ცხადია, შეამცირებს სააღრიცხვო სამუშაოთა შრომატევადობას, გაზრდის ეფექტიანობას, დააჩქარებს შედეგების გამოვლინებას, მაგრამ ამას ხომ მაინც კვალიფიციური აღრიცხვის სპეციალისტები სჭირდება. მაშასადამე, აღრიცხვის მუშაკს ბუღალტერიის სრულყოფილი ცოდნის გარდა ტექნიკის მეცნიერებათა დაუფლებაც ევალება!

უმაღლეს სკოლაში აღრიცხვის სპეციალისტის მომზადების ვადის შემცირებას მდგომარეობიდან გამოსავლად ვერ მივიჩნევთ. რაოდენ სამწუხაროა, რომ აღრიცხვის სპეციალობა უმაღლეს სასწავლებლებში დღემდე არ ითვლება პრივილეგიურ სპეციალობად. აქ ახალგაზრდობა სპეციალობის სიყვარულით კი არ მოდის, არამედ ნაკლები კონკურსის იმედით, დაბალია აკადემიური მონაცემების აბიტურიენტები ავსებენ მას. განა შეიძლება ასეთი სტუდენტობიდან შემოკლებული პროგრამით მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მიღება. არადა, ეკონომიკას მხოლოდ ასეთი სპეციალისტები სჭირდება.

განა შესაწყნარებელია ის გარემოება, რომ ასეთ პირობებში ბუღალტრული აღრიცხვის სპეციალობის კურსდამთავრებულთა დიდი ნაწილი სამუშაოდ არ მიდის აღრიცხვის აპარატში. მათ იღებენ ფინანსისტებად, დარგის ეკონომისტებად და ისინიც სიამოვნებით მიდიან. მიდიან იმიტომ, რომ იქ ნაკლებია პასუხისმგებლობა, თანაც ნაკლებ შრომატევადი სამუშაო და დიდი ანაზღაურება ხვდებათ.

კანონზომიერია, რომ ყოველწლიურად იზრდება მიღება აღრიცხვის სპეციალობაზე. ეს დროის მოთხოვნა და სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ინტერესების გამოძახილია. მაგრამ დრო ითხოვს არა საშუალო სპეციალისტს, არამედ მაღალკვალიფიციურს. **ასეთი სპეციალისტების აღსაზრდელად კი უმაღლესი კვალიფიკაციის აღმზრდელები და დიდი მახსტაბის დაფინანსებაა საჭირო.**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტთა კონტინგენტის 16 პროცენტი აღრიცხვის სპეციალობაზე მდგომ. აღრიცხვის სპეციალისტთა ფორმირების საქმეს ემსახურება შტატის პროფესორ-მასწავლებელთა 2,5 პროცენტი. თუ უნივერსიტეტში შტატის ერთ ლექტორზე 8 სტუდენტი მოდის, აღრიცხვა-ეკონომიკის ფაკულტეტზე იგი 40-ს შეადგენს. უნივერსიტეტში სამეცნიერო ხარისხის მქონე 800 ლექტორია; აღრიცხვა-ეკონომიკის ფაკულტეტზე კი მხოლოდ 20. ეს იმას ნიშნავს, რომ სამეცნიერო ხარისხის მქონე ერთ ლექტორზე უნივერსიტეტში თუ 13 სტუდენტი მოდის, აღრიცხვის ფაკულტეტზე იგი 90-ს შეადგენს. განსაკუთრებით საგანგაშო მდგომარეობაა პროფესორების მხრივ. აღრიცხვის ფაკულტეტზე პროფესორია ერთი პროფესორია. ეს მაშინ, როცა საერთოდ უნივერსიტეტში 200 პროფესორია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ 1 პროფესორზე უნივერსიტეტში 55 სტუდენტი მოდის, აღრიცხვის ფაკულტეტზე — 1800 სტუდენტი.

ასეთი სურათია დღეს საქართველოში აღრიცხვის სპეციალისტთა მომზადების საქმეში და, სამწუხაროდ, არც ხვალისთვის ჩანს რაიმე სასიკეთო პერსპექტივა. უნდა ითქვას, რომ არც სხვა რესპუბლიკებია ამ მხრივ გამორჩეულად უკეთესი პირობები. სააღრიცხვო მეცნიერებას მეცნიერული კადრები სჭირდება. ბუღალტერია არ არის დოგმატიკური მეცნიერება. იგი მოვლენებს სწავლობს დინამიკაში და საჭიროა მეცნიერული ძალები, რომლებმაც პრაქტიკოსებზე უფრო ადრე უნდა შენიშნონ სამეურნეო საქმიანობის ფინანსური მხარეებისათვის დამახასიათებელი განვითარების კანონზომიერებანი და შეიმუშაონ მათი შესწავლის ახლებური მეთოდები. ამის საშუალებას არ იძლევა ყოველწლიურად ერთი ან ორი კურსდამთავრებულის მიღება ასპირანტურაში. **სტუდენტთა კონტინგენტის ზრდას ასპირანტთა კონტინგენტის ზრდაც უნდა შეესაბამებოდეს.**

პარტია მოითხოვს მეურნეობის ხელმძღვანელობის სტილის გაუმჯობესებას ლენინური სტილის საფუძველზე. ეს იმას ნიშნავს, რომ სამმართველო აპარატის მთელი ღონისძიება მიმართო კადრების ინიციატივისა და სოციალისტური გრგილიანობის განსავითარებლად. მოთხოვნა, რომ „არ დავუშვათ შემცირების მიზნით გეგმების კორექტირება, გავაძლიეროთ საგეგმო დავალებათა და სახელშეკრულებო ვალდებულებათა შეუსრულებლობისათვის, მატერიალური და ფინანსური რესურსების არარაციონალური ხარჯისათვის ეკონომიკური სანქციების ქმედითობა“, სწორია, მაგრამ რით შეიძლება გამოავლინო საგეგმო დავალებისა და სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობა, ან მატერიალური და ფინანსური რესურსების არარაციონალური ხარჯვა, თუ არა აღრიცხვით, რომლის სიზუსტეზე, დროულობასა და ხარისხზეა დამოკიდებული მითითებული სანქციების ქმედითობა.

სამეურნეო მექანიზმის სრულყოფის ინტერესები ჩვენში ყოველთვის ითხოვდა მშრომელთა ინიციატივას, შემოქმედებითს მონაწილეობას მეურნეობის მართვაში. ეს მოთხოვნა კიდევ უფრო მაღალ დონეზე აიყვანა პარტიის XXVI ყრილობამ.

მეათე ხუთწლედის წარმატებული დამთავრების მაჩვენებლებთან ერთად ყრილობაზე ისიც ითქვა, რომ „წარმოების ეფექტიანობის ამაღლების, შრომის ნაყოფიერების ზრდის დარგში ვერ გადაწყდა ამოცანები ისე, როგორც გეგმით იყო გათვალისწინებული. მართვისა და დაგეგმვის მექანიზმი, მეურნეობრიობის მეთოდები, შრომისა და საშემსრულებლო დისციპლინის დონე ჩამორჩებოდა თანამედროვე მოთხოვნებს. ეს აძნელებს სახალხო მეურნეობის გადაყვანას ინტენსიური განვითარების გზაზე“.

ამ დაბრკოლებათა გადალახვის ერთ-ერთი მთავარი ფაქტორი აღრიცხვის სრულყოფაში, გამარტივებაში, დაჩქარებაში, საყოველთაობაში უნდა ვეძიოთ. ამის მიღწევა სააღრიცხვო მეცნიერების წინა პლანზე წამოწევას, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მასშტაბის გაფართოებას, ამ მუშაობის გეგმაზომიერ წარმართვას, მეცნიერულ ორგანიზაციას მოითხოვს.

Ზ. ᲑᲘᲖᲘᲐᲕᲐ,
დოცენტი.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲡᲐᲥᲡᲝᲕ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝᲝ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲘᲪᲜᲝᲑᲔᲜ ᲛᲭᲚᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐᲡ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲘ, ᲓᲐᲛᲠᲘᲒᲔᲑᲔᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲐ. ᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲕᲘ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲒᲐᲡᲬᲠᲔᲑᲘᲗ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲓᲐ ᲣᲨᲕᲔᲑᲡ ᲛᲮᲚᲝᲚᲝᲓ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲮᲐᲠᲘᲡᲮᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲡ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲖᲔᲓᲐ: Ზ. ᲒᲔᲒᲔᲨᲘᲫᲔ (ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲓᲐᲜ) ᲘᲡᲐᲣᲑᲠᲝᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲘ ᲛᲭᲚᲝᲕᲔᲚᲔᲑᲘ Ე. ᲙᲝᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ, Ლ. ᲤᲐᲜᲘᲩᲣᲚᲘᲫᲔ ᲓᲐ Ნ. ᲝᲠᲑᲔᲚᲐᲫᲔ.

Т. НИКОЛАЙШВИЛИС ФОТО.

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲛᲘᲡᲬᲠᲐᲤᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲕᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ!

ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲘᲗ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ კომპარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ფ. ს. სანაკოევმა.

მოხსენებელმა და ორატორებმა აღნიშნეს, რომ კომუნისტებმა, ყველა შრომითმა კოლექტივმა გაიაზრეს ბრძოლა ქვეყნისა და რესპუბლიკის კომუნისტთა უმაღლესი ფორუმების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის. ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვა, რომელიც მან წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საზეიმო სხდომაზე, მისი გამოსვლები დარბაზობაზე და რესპუბლიკის ხელმძღვანელებთან შეხვედრები

ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲨᲘ

დროს საბრძოლო პროგრამად გახდა ავტონომიური ოლქის კომუნისტებისათვის, ყველა შრომელისათვის. ისინი მთის მხარის ეკონომიკის ზრდისა და კულტურის აყვავების ახალ მიჯნებს სახავენ. ამ მნიშვნელოვან საქმეში განსაკუთრებული როლი ეთმობა ოლქის პირველად პარტიულ ორგანიზაციებს. თათბირ-სემინარზე ხაზგასმით აღინიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პარტიული ორგანიზაციების პარტიულ-ორგანიზატორული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დღენადაგ სრულყოფას, მთელი ძალების, გამოუყენებელი რეზერვების დარაზმვას მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის.

თათბირ-სემინარის მონაწილეებმა ერთმანეთს გაუზიარეს პარტიული მუშაობის გამოცდილება, დასახეს ავტონომიური ოლქის პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობის გაზრდის კონკრეტული გზები.

(საქინფორმი).

ᲒᲐᲖᲒᲐᲧᲕᲐᲜᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲙᲘᲚᲝᲛᲔᲢᲠᲔᲑᲘ

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ გაზოფიკაციის მთავარი სამმართველოს კოლექტივი ჩინეთული შრომითი მიღწევებით შეხვდა საქართველოს გასაბჭოებისა და რესპუბლიკის კომპარტიის შექმნის 60 წლის თავს. ქალაქებში ბინების გაზოფიკაციის ოთხი თვის დავალება 117 პროცენტით შესრულდა, ხოლო სოფლებში ამ მაჩვენებელმა 129 პროცენტს გადააჭარბა. წარმატებებია მოპოვებული სხვა ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების მიხედვითაც. ხუთი თვის დავალების შესრულების მაჩვენებლები უფრო დამაჯერებელია.

მრავალ სიძნელეთა დაძლევა მოუხდა სამმართველოს კოლექტივს, ვიდრე სასურველ შედეგს მიაღწევდა. ურთულეს რელიეფურ პირობებში აშენდა ყინვალითიანეთის 19 კილომეტრი სიგრძის მაღალი წნევის გაზსადენი. ციხეერი სათბობით თიანეთის მოსამარაგებლად საექსპლოატაციოდ გადაეცა ავტომატური გაზმანაწილებელი სადგური და ოპერატორთა სახლი.

მალე უნდა მიიღოს გაზი გორის რაიონის სოფლებმა — შავშვებმა და ნაწრეტმა. საამისოდ შესრულდა დიდი მოცულობის სამუშაოები: მწყობრში ჩადგა 7 კილომეტრი სიგრძის გაზსანაწილებელი ქსელი, მზად არის აგრეთვე გაზმანაწილებელი სადგური და ოპერატორთა სახლი.

800 ბინაში აინთო ცისფერი ალი გურჯაანის რაიონის სოფლებში — გურჯაანსა და ჭანდარის. მოლიანად დამთავრდა თელავის რაიონის სოფელ წინანდლის გაზოფიკაციაც. პირველი რიგის სამშაოები სოფელ ბოდბისხევის გაზოფიკაციისათვისაც დამთავრდა, ხოლო წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედში 25 კილომეტრი სიგრძის მაღალი წნევის გაზსადენ-სარინი აშენდა.

მიმდინარე წლის დავალებათა შესრულებას გაზოფიკაციის სამმართველოს კოლექტივმა მეათე ხუთწლედში ჩაუყარა მტკიცე საფუძველი. ამ პერიოდში გაზი მიიღეს წყალტუბო, თერჯოლაში, ახმეტაში, ლენინგორში, მარნეულში, ბოლნისში, საჩხერეში, წნორში, მადნეულში, აგარაში, ყინვალში, არაში, სიღნაღში, ახსტაფაში, ვარდისუბანში, ნატახტარში, საგურამოში, ტინისხიდში და სხვა დასახლებულ პუნქტებში. საგულისხმოა, რომ მეათე ხუთწლედში ბინების გაზოფიკაციის გეგმა 120,5 პროცენტით შესრულდა. გეგმას მნიშვნელოვნად გადააჭარბა სხვა მაჩვენებლებმაც. ახლა ჩვენი რესპუბლიკის გაზგაყვანილობის ქსელთა საერთო სიგრძე 3900 კილომეტრს შეადგენს.

საქართველოს სსრ გაზოფიკაციის სამმართველოს კოლექტივმა 1980 წლისა და საერთოდ ხუთწლედის მაჩვენებლების მიხედვით ქვეყნის მონათესავე დარგთა მორის გაწლილ სოციალისტურ შეჯიბრებაში პირველი ადგილი დაისაკუთრა. მისი გადაწყვეტილებაა თავდადებით იბრძოლოს მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის და არ დათმოს მოპოვებული მოწინავე პოზიციები.

Ზ. ᲐᲛᲐᲨᲣᲙᲔᲚᲘ
„ᲙᲝᲛᲔᲡᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲙᲝᲠ.

ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲖᲔ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ საქართველოს საიუბილეო დღეებში თბილისში გამართულ საზეიმო სხდომაზე ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა ჩვენი რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვან მრავალ საკითხზე, მათ შორის მეცხოველეობის შემდგომი განვითარების აუცილებლობაზეც გაამახვილა ყურადღება. „მეცხოველეობის აღმავლობის საკვანძო ამოცანაა, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა, — საკვები ბაზის განმტკიცება. ამ თვალსაზრისით ახლანდელი ხუთწლედი მნიშვნელოვანწილად საკვების ხუთწლედი უნდა გახდეს“.

და აი, სწორედ ეს საკვანძო საკითხია ჩვენთვის ყველაზე მტკივნეული და საპრობლემო, რადგან, მოგეხსენებათ, სუბტროპიკულ ზონაში არა გვაქვს სათიბ-სამოვრები, საზოგადოებრივ მეცხოველეობას ვერ ვაკმაყოფილებთ საკუთარი საკვები ბაზით. მაგრამ სამაგიეროდ საკმაოდ გვაქვს სხვა რამ, კერძოდ, ციტრუსი. ამიტომაც, ჩემი აზრით, კარგი იქნება, დაგვრთონ ნება, რომ ციტრუსი მეცხოველეობის საკვებზე გადაეუცვალონ სხვა რაიონებს, რომლებსაც კარგი საკვები ბაზა აქვთ. რა თქმა უნდა, ეს მხოლოდ დამატებითი გზა იქნება საკვების ბალანსის გასაზრდელად. ჩვენ ვეძებთ რეზერვებს ტყეებსა თუ ბალახეულ ფენებში, ეძებთ ადგილებს, სადაც ეფექტიანი ბალახი ამოიზრდება, ეძებთ ადგილებს, სადაც

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტთან არსებული იდეოლოგიური საკითხთა კომისიის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს ორგანო

ლენინური გზა

3 ივნისი

ფაქტები • მოვლენები • კომენტარი

ეძღვნება გმირების ხსოვნას

სოფია. ბულგარეთმა საზეიმოდ აღნიშნა სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, კაპიტალიზმისა და ფაშიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპულ გმირთა ხსოვნის დღე.

ზუსტად ნაშუადღეზე რესპუბლიკის ყველა ქალაქსა და სოფელში გაისმა სირენა — ქვეყანამ წუთიერი დუმილით პატივი სცა თავისი პატრიოტების ხსოვნას.

სამშობლოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპულ გმირთა ძეგლებთან მოვიდნენ ანტიფაშისტური მოძრაობის ვეტერანები, პიონერები, სტუდენტები. ობელისკებთან სპასტიო ყარაულში დადგნენ ბულგარეთის სახალხო არმიის მეომრები, მუშები, მოსწავლეები.

ბულგარელი ხალხის რევოლუციური ტრადიციების გამოხატულებად ქცეული დღესასწაულის წინ მთელ ქვეყანაში გაიმართა მიტინგები და კრებები, რომელთა მონაწილეებმა პატივი მიაგეს გმირების ხსოვნას, რომელთა ანდერძს წარმატებით ასრულებენ სოციალისტურ ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკაში.

ათასობით ადამიანი მოვიდა ქალაქ ვრაცის მახლობლად ოკლრნიცის მწვერვალთან, სადაც საუკუნეზე მეტი ხნის წინ დაიღუპა დიდი ბულგარელი რევოლუციონერი, პოეტი ხრისტო ბოტევი. აქ გამართულ მასობრივ მიტინგში მონაწილეობდნენ ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე ტ. ჟივკოვი, რესპუბლიკის სხვა პარტიული და სახელმწიფო ხელმძღვანელები.

ურთიერთობა მწვავდება

— პრესა ადასტურებს

ნიუ-იორკი. **კვლავ მწვავდება მექსიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობა.** ამერიკულმა ჟურნალმა „ბიზნეს უიკმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც აღნიშნულია, რომ უკანასკნელ ხანს მექსიკის მთავრობამ განახორციელა მთელი რიგი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია შეამციროს ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულება ამერიკის შეერთებულ შტატებზე და წინააღმდეგობა გაუწიოს მექსიკაში ამერიკის კაპიტალის შეღწევას. მათ შორისაა გადაწყვეტილება მექსიკის ნავთობის ექსპორტში ამერიკის შეერთებული შტატების წილის შემცირების შესახებ, სუნელი კონტროლი დაიწესონ უცხოეთის, უმთავრესად ამერიკელ ინვესტიციების მექსიკის ეკონომიკაში.

ფინანსთა მინისტრის ყოფილმა თანაშემწემ საერთაშორისო საქმეებში ფრედ ვერგსტენმა, რომელმაც დაახასიათა ორი ქვეყნის სავაჭრო ურთიერთობის მდგომარეობა, წერს ჟურნალი, განაცხადა, რომ „ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვს პირდაპირი შეტაკება მექსიკასთან“. „ბიზნეს უიკი“ ხაზს უსვამს, რომ ცენტრალურ ამერიკაში მიმდინარე ომბებმა გააძლიერეს ამერიკა-მექსიკის წინააღმდეგობანი.

ტაილანდი—კამპუჩია

პროვოკაციები საზღვარზე

ბანგკოკი. ტაილანდის მხედრიონი კვლავ უხეშად არღვევს კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტს და ტერიტორიულ მთლიანობას, შეიარაღებულ პროვოკაციებს აწყობს ორი ქვეყნის საზღვარზე. როგორც კამპუჩიის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, მაისის მეორე დეკადაში ტაილანდის სამხედრო თვითმფრინავები არაერთგზის შეჭრილან კამპუჩიის სახალხო რესპუბლიკის საჰაერო სივრცეში, ხოლო ტაილანდის სამხედრო-საზღვაო ძალების კატერები — მის ტერიტორიულ წყლებში. კამპუჩიის სასაზღვრო რაიონებს 170-ჯერ მეტჯერ დაუშინეს არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლი.

ამ ბარბაროსული აქტების შედეგად კამპუჩიის მშვიდობიან მოსახლეობას შორის არის მსხვერპლი და დანგრეულია მთელი რიგი სამოქალაქო ობიექტები.

მაღალი ჯილდო

სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებისა და კუბის რესპუბლიკის რევოლუციურ შეიარაღებულ ძალებს შორის მეგობრული ურთიერთობის განვითარებასა და განმტკიცებაში დიდი წვლილისათვის და დაბადების 50 წელთან დაკავშირებით სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა კუბის რესპუბლიკის რევოლუციური შეიარაღებული ძალების მინისტრი არმიის გენერალი რაულ კასტრო რუსი დააჯილდოვა ოქტომბრის რევოლუციის ორდენით. (საკდესი).

ვეტერანთა შეხვედრა

პოლონეთი

ვარშავა. **აქ მოწყო პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობის ხაზოგადოების ვეტერანთა სრულიად პოლონეთის შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ყველა საოლქოდან წარმომადგენლებმა.** შეხვედრაზე გამოვიდა საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდომარე ს. ვრონსკი. მან თქვა: დღეს მხოლოდ პოლიტიკურად ბრმები ვერ ხედავენ იმას, რომ სოციალიზმის მტრები ცდილობენ ანტისაბჭოურობის მღვრიე ნაკადით ჩირქი მოსცხონ და სახელი გაუტეხონ სოციალისტურ მონაპოვრებს პოლონეთში, პოლონეთ-საბჭოთა კავშირის მეგობრობას.

ორატორმა აღნიშნა, რომ თამამად უნდა ვამხილოთ სოციალიზმის მოწინააღმდეგეთა ზრახვანი. პოლონელი მუშებისა და გლეხებისათვის უცხოა ანტისაბჭოურობა. ხალხის დიდ უმრავლესობას სურს მეგობრულად იცხოვროს საბჭოთა კავშირთან.

მდუმარედ არ შეიძლება მოვითმინოთ ამ მეგობრობის შეურაცხყოფის ფაქტები და მისთვის ეგრეთ წოდებული ახლადმოვლენილი „მეგობრებისა“ და პოლონეთის „განმაზღვრელების“ დაპირისპირება.

პოლონეთის სახალხო რესპუბლიკა უნდა იყოს სოციალიზმის მტკიცე რგული, თქვა ს. ვრონსკიმ. ჩვენ ნებას არ მივცემთ გამოიყვანონ იგი სოციალისტური ოჯახიდან. ამიტომ პოლონეთ-საბჭოთა მეგობრობის განმტკიცებით სამშობლოს ვამტკიცებთ. ისეთია ჩვენი პატრიოტული, ინტერნაციონალური ამოცანა.

შეხვედრის მონაწილეებმა ერთსულოვნად გამოხატეს თავიანთი ერთგულება პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ძმური კავშირისა და ერთიანობისადმი და ის, რომ მზად არიან მტკიცე პასუხი გასცენ ანტისოციალისტურ და ანტისაბჭოთა ელემენტებს.

შეხვედრის მთელმა რიგმა მონაწილეებმა უკმაყოფილება გამოთქვეს იმათი უპრინციპობის გამო, ვინც ურიგდება პოლონეთში ანტისაბჭოთა გამოხდომებს, მტრულ პროპაგანდას, რომელსაც ეწევიან კოს-კორის ხელმძღვანელები და სხვა ანტისოციალისტური ელემენტები.

გამოსვლებში აღინიშნა, რომ იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ტერორის გამოვლინება, რასაც პოლონეთის წინააღმდეგ იყენებს დასავლეთის პროპაგანდა, საჭიროა მტკიცედ აღიკვეთოს. კი არ უნდა დავყაროთ მასობრივი პროპაგანდის საშუალებათა იარაღი, არამედ დავიცვათ პოლონეთის რევოლუციური და სიბრძოლო ტრადიციები, განვმარტოთ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის კრიზისის დაძლევაში სოციალისტური ქვეყნებისა და უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის უდიდესი დახმარების მნიშვნელობა.

ფოტოობიექტივი ამხილებს



ლიბერალ-დემოკრატთა მთავრობა აჩქარებს სამხედრო მზადების და ამერიკის შეერთებულ შტატებთან მილიტარისტული თანამშრომლობის გაძლიერების კურსს.

ამას წინათ პარლამენტის მიერ მიღებული კანონპროექტი 1981 საფინანსო წლის სახელმწიფო ბიუჯეტის თაობაზე ითვალისწინებს სამხედრო მიზნებისათვის ასიგნებათა ზრდას 7,6 პროცენტით. ეროვნული თავდაცვის სამმართველომ „გასცა ბრძანება იაპონიის ჰოკაიდოს კუნძულზე პირველი ჯავშანსატანკო დივიზიის (სურათზე ზემოთ) განლაგების, სამხედრო-საჰაერო ძალების „ფ-15“ ტიპის ახალი ამერიკული ავიაგამანადგურებლებით და სხვა საბრძოლო თვითმფრინავებით, ხოლო სამხედრო-საზღვაო ძალების სარაკეტო ხომალდებით შევსების შესახებ.

ამავე დროს იაპონიის საზოგადოებრიობა აღაშფოთა იმ ფაქტმა, რომ დაშინგტონი იოკოტისა და ივაკუნის ამერიკულ სამხედრო ბაზებს ბირთვული იარაღის განლაგებისათვის იყენებს. ქვემო სურათზე აღბეჭდილია ქალაქ ივაკუნის მცხოვრებთა საპროტესტო დემონსტრაცია.

საკდესის ფოტო.

ია პ ო ნ ი ა

საგზგადოებრიობის აღშფოთება

პაკისტანი

მილიტარისტული ვოიაჟი

ისლამაბადი. **აქ დაიწყო პაკისტანში 4-დღიან ოფიციალურ ვიზიტად მყოფი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჩუაო ძიანისა და პრეზიდენტ ზია-ულ-ჰაკის მოლაპარაკება.**

როგორც დასავლეთის საინფორმაციო საagენტოთა კორესპონდენტების ცნობები ცხადყოფს, ჩინეთის პრემიერი და პაკისტანის ლიდერები, მოლაპარაკებისას ძირითად ყურადღებას უთმობენ დემოკრატიული ავღანეთის წინააღმდეგ გამოუცხადებელ ომში ორი ქვეყნის მოქმედების კოორდინაციას.

მხარეები განიხილავენ აგრეთვე პაკისტანისათვის ჩინეთის იარაღის მიწოდების საკითხს. ცნობილია, რომ პეკინმა ისლამაბადს უკვე მიაწოდა ორი მილიარდი დოლარის იარაღი და დაიხმარა მას მთელი რიგი სამხედრო ქარხნების შექმნასა და სამხედრო აეროდრომების მშენებლობაში.

პაკისტანში ვოიაჟის დროს ჩუაო ძიანი ეწვევა ეგრეთ წოდებული „ავღანელი ლტოლვილების“ ბანაკებს. ბანაკების სახით ამ ქვეყანაში შექმნილია იმ ბანდიტების საყრდენი ბაზები, რომლებიც ყაჩაღურად ესხმიან თავს ავღანეთის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ჩუაო ძიანის შემდეგ პაკისტანში ჩავა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის მოადგილე ჯ. ბაკლი. მისი ვიზიტი, რომელიც 11 ივნისიდან 14 ივნისამდე გასტანს, მორიგი ნაბიჯია ვაშინგტონის, ისლამაბადისა და პეკინის აგრესიული სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის განმტკიცების გზაზეა ეს ალიანსი მიმართულია აზიის დამოუკიდებელ პროგრესულ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და, ისახავს აშკარა მიზანს ვაამძაფროს ვითარება რეგიონში.

ა შ შ

საპროტესტო შიმშილობა

ამერიკელი ჯარისკაცები მოითხოვენ დამატებით გამოკვლევას

სან-ფრანცისკო. **ლოს-ანჯელესის ერთ-ერთ ჰოსპიტალში საპროტესტო შიმშილობა გამოაცხადა 12 ყოფილმა ამერიკელმა ჯარისკაცმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიაში ვიეტნამის წინააღმდეგ.** ისინი მოითხოვენ დამატებით გამოიკვლიონ, თუ რა გავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმზე მომწამლავი ნივთიერება „ეიჯენთ ორანჯი“. კიდევ რამდენიმე კაცმა მოაწყო მჯდომარე დემონსტრაცია ჰოსპიტალის ჰოლში ამ მოთხოვნის მხარდასაჭერად.

როგორც ცნობილია დეფოლიანტ „ეიჯენთ ორანჯს“ ფართოდ იყენებდა ამერიკის ლეგიონი ვიეტნამელ პატრიოტთა და მშვიდობიან მცხოვრებთა წინააღმდეგ. მან მოსპო ათასობით ჰექტარი ტყე და ნათესები. ამ ქიმიური ნივთიერებისაგან მოწამვლა, რომელსაც თვითმფრინავებიდან და ვერტმფრინავებიდან ასხურებდნენ, თავიდან ვერ აიცილეს თვით ინტერვენტებმაც. ბევრი მათგანი დღემდე დაავადებულია განუკურნელი სენით, ზოგიერთი მათგანის ოჯახში დაიბადნენ ბავშვები თანდაყოლილი დეფექტებით.

გ ფ რ

თავს არიდებენ

ბონი. **მიუნხენში უშედეგოდ დამთავრდა გასული წლის 26 სექტემბერს იქ მომხდარი აფეთქების გამოძიება, რომლის შედეგადაც დაიხოცა 13 და დაიჭრა 200 კაცზე მეტი.**

მოკვლევას ეწეოდა ბავარიის სისხლის სამართლის სამმართველოს უწყების დაახლოებით 200 მოხელე და დეტექტივი, რომლებმაც დაკითხეს 1800-ზე მეტი მოწმე და შეაგროვეს 1500-ზე მეტი ჩვენება. მიღებული სამხილის უმრავლესობა ეჭვს არ ტოვებდა, რომ აფეთქება მოხდა ნეონაცისტური „ჰოფმანის სამხედრო-სპორტული ჯგუფის“ მოიერიშეთა წაქეზებით და უშუალო მოხაწილეობით. ამას მოწმობს, მაგალითად, უკვე ის ფაქტიც, რომ დანაშაულის ადგილზე ადმოაჩინეს ამ ჯგუფში შემავალი გ. კელერის გვამი, რომელიც აფეთქების უშუალო ორგანიზატორი იყო, და, ექსპერტების აზრით, საკუთარი წინდაუხედაობის მსხვერპლი გახდა. მიუხედავად ამისა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გენერალურმა პროკურორმა კ. რებმანმა ბავარიის რადიოთი გამოსვლისას შესაძლებლად ცნო განეცხადებინა, რომ „ჯერ კიდევ არც დადასტურებული, არც უარყოფილია ეჭვი იმის შესახებ, ჰყავდა თუ არა კელერს თანამზრახველნი ან თანამონაწილენი, რომლებმაც წინასწარ იცოდნენ, რომ ეს დანაშაული მზადდებოდა“.

ამრიგად დასავლეთ გერმანიის ოფიციალური ინსტანციები ცდილობენ აირიდონ პასუხისმგებლობა ქვეყანაში „ყავისფერი“ დაჯგუფების წაქეზებისათვის.

მათი ზნე-ჩვეულება

კანონი კანონია

ვაშინგტონი. **ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ დაადასტურა, რომ თანაბრად ამერიკის კონსტიტუციის პირველი შესწორებისა, ყოველ ამერიკელს „აქვს უფლება იცეკვოს დედაშობილამ“. ამერიკის უმაღლესი სასამართლო ორგანოს ამგვარი განმარტება აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც ქ. მაუნტ-იფრემის (ნიუ-ჯერსის შტატი) ხელისუფლებამ ადგილობრივი წიგნის მაღაზიის გამყიდველს ბრალად დასდეს კანონის დარღვევა, რომელიც კრძალავს „საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში დედაშობილად გამოჩენას“. ბრალდებული კი, როგორც ამერიკის პრესა იუწყება, მაღაზიის წინ დედაშობილა ცეკვავდა.**

უზენაესი სასამართლოს განმარტება, როგორც ჩანს, კიდევ ერთი საფუძველი გახდება ამერიკის „თავისუფალ“ საზოგადოებაში ზნეობრიობის განსამტკიცებლად.

... საბჭოთა მშენებლობა

კარგი საქმის სათავე

სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახული ნაოელი პროგრამის განხორციელება მშრომელთა უფართოესი მასების შემოქმედებითს აზრს და დიდ ენერგიას მოითხოვს. მეათე ხუთწლეულის ამოცანათა გადაწყვეტის საქმეში მთავარ ხელმძღვანელ და მაორგანიზებელ ძალას, მართალია, პარტიული ორგანიზაციები წარმოადგენენ, მაგრამ არანაკლები პასუხისმგებლობა აკისრიათ ადგილობრივ საბჭოებს.

ამისათვის კი საჭიროა საბჭოების მუშაკთა კომპეტენტურობა, კანონმდებლობის ცოდნა, მისი პროპაგანდა, სწავლება, დეპუტატთა ოთახების გონივრულად მოწყობა, რჩეულთა სტატუსში ზუსტი გარკვევა, განსახილველი საკითხების მომზადების პრაქტიკის ცოდნა და შემდგომ თვით ალმასკომის სხდომის წარმართვის ხელოვნება.

— ჩვენი მოღვაწეობის მთავარი პრობლემა სწორედ ეს არის — თქვა საუბარში ორჯონიკიძის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს ალმასკომის თავმჯდომარემ ელისო ბერიძემ, — მართალია გვყავს დიდი გამოცდილების მქონე ადგილობრივი საბჭოების თავმჯდომარეები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ მუშაობის სტილი, მეთოდები, მაგრამ სასოფლო ხელმძღვანელობაში მოვიდნენ ახალგაზრდები, რომელთაც სჭირდებათ დახმარება, მუშაობის გამოცდილების გაზიარება. მართალია, ასეთი ახალგიდებისათვის შემოღებული გვაქვს სწავლება, სემინარული მეცადინეობები, ფართოდ ვიყენებთ დეპუტატთა ოთახებსაც, მაგრამ ნათქვამია, ასჯერ გაგონილს მაინც ერთხელ ნანახი სჯობიაო.

ამ ხალხურმა სიბრძნემ გვიკარნახა მოგვიწყო სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს საჩვენებელი სხდომა. ამ ღონისძიებისათვის შევარჩიეთ ბორითის სასოფლო საბჭო, რომლის თავკაცს კ. ბარბაქაძეს დიდი და სასარგებლო გამოცდილება აქვს შეძენილი. ამ სხდომას ესწრებოდნენ რაიონიული საბჭოს ალმასკომის თითქმის მთელი აპარატი, სასოფლო საბჭოების ალმასკომების თავმჯდომარეები, მდივნები და მუდმივი კომისიების ხელმძღვანელები.

ალმასკომის სხდომაზე განიხილეს საკითხები: უბისის და საქსარიის კოლმეურნეობების სამზადისი საგაზაფხულო თესვისათვის, ავადმყოფთა კვების მდგომარეობა ბორითის საუბნო საავადმყოფოში და კულტურის სახლის თვითმოქმედი წრეების მუშაობა, რომლებიც განსახილველად შემოიტანეს მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებმა რ. მჭედლიძემ, ო. გოგოლაძემ და ჟ. ბარბაქაძემ. 1980 წელს მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შესახებ სხდომაზე ვრცელი ანგარიში გააკეთა დეპუტატმა ჟ. ბარბაქაძემ.

მკაცრი მსჯელობა გამართეს სოფლის რჩეულებმა. პირველი საკითხის განხილვის დროს ცხადი გახდა, რომ უბისის და საქსარიის კოლმეურნეობები ადრდანვე შეუდგნენ საგაზაფხულო თადარიგს, მაგრამ ყველაფრის მოგვარება მაინც ვერ მოასწრეს. მარტის დასაწყისში შეძენილი არ ჰქონდათ შვრიის თესლი, უბისელებს კი სათესლე სიმინდი კვლავ დაუფშვნელი შემორჩათ, სრულ წესრიგში არ იყო ერთი ტრაქტორი, მოუხნავი დარჩათ ფართობები. მდგომარეობა დაყოვნებას აღარ ითმენდა, ალმასკომმა გამოიყო დეპუტატები, რომლებიც პერსონალური პასუხისმგებლობით ჩაუდგებოდნენ სათავეში გამოვლენილ ნაკლოვანებათა უსწრაფესად გამოსწორებას.

ბორითელებს თითქოს საყვედური არ ეთქმოთ კულტურის სახლის მუშაობაზე. აქ ხშირად იმართება მასობრივი ღონისძიებები, შინაარსიანად მუშაობენ მხატვრული თვითმოქმედი წრეები, ავიტმხატვრულმა ბრიგადამ მონაწილეობა მიიღო ზონალურ დათვალიერებაშიც, მაგრამ კულტურის დარგის მუშაკებს მკაცრი სიტყვები მაინც არ აცდათ, რადგან კულტურის სახლის შესანიშნავი მატერიალური ტექნიკური ბაზა მათ შესაძლებლობას აძლევს უფრო მაღალ დონეზე მოემსახურონ სოფლის მშრომელებს.

ალმასკომის სხდომაზე განსახილველი საკითხები საფუძვლიანად იყო შესწავლილი, დეპუტატებმა პირუთვნელად თქვეს სათქმელი და გადაწყვეტილებაშიც კონკრეტულად ჩაწერეს შესასრულებელ სამუშაოთა ვადები.

შემდეგ სხდომაზე გამოირკვა, რომ გამოცდილების გაზიარების მიზნით მოწვეულ ამხანაგებს საკუთარი შენიშვნებიც ჰქონიათ ბორითელი დეპუტატების საქმიანობის მიმართ. კერძოდ, აღიძრა საკითხი, რომ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების შემოწმება, ჩვეულებრივ, ყოველკვარტალურად უნდა წარმოებდეს.

ორჯონიკიძის სახალხო დეპუტატთა რაიონულმა საბჭომ უდავოდ კარგ საქმეს დაუდო სათავე. ასეთი საჩვენებელი სხდომების მოწყობა და შემდგომი მისი გაანალიზება მეტი პასუხისმგებლობის გრძნობას აღუძრავს სოფლის მადგილობრივ ხელმძღვანელებს, საკუთარი მეზობლების მიერ ნდობა გამოცხადებულ დეპუტატებს. ამით მოიგებს სოფელი და კიდევ უფრო ამაღლდება სახალხო თვითმმართველობის ავტორიტეტი.

ო. ნიქაბაძე,
„კომუნისტის“ სპ. კორ.

გარჯით, ძიებით განვლილი გზა

პროფესორ ნ. მოწონელიძის დაბადების მე-60 წლისთავის გამო



ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მიდრომეტანიკური ნაგებობათა კათედრის გამგე, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნ. მოწონელიძეს 60 წელი შესრულდა. საყვარელი საქმის ერთგული და ერთგული სამსახურის ნათელი მაგალითია ამ თვალსაჩინო მეცნიერისა და პედაგოგის შემოქმედებითი გზა.

დიდია პროფესორ ნ. მოწონელიძის ღვაწლი სამამულო ჰიდროტექნიკური მეცნიერების განვითარებაში. კერძოდ, მისმა მეცნიერულმა გამოკვლევებმა ბეტონის გრავიტაციული და კონტრფორსული კაშხლების სიმტკიცის, მდგრადობის, დინამიკისა და სეისმომედეგობის საკითხებზე დიდი პრაქტიკული გამოყენება პოვეს კაშხლების გაანგარიშებისა და საერთოდ კაშხალშენებლობის თეორიული საფუძვლების დამუშავებაში.

თანამედროვე ჰიდროტექნიკის ამ მიტად აქტუალური საკითხების მეცნიერულ კვლევას მიეძღვნა ნ. მოწონელიძის სადოქტორო დისერტაცია „კონტრფორსული კაშხალების სტატიკური მდგრადობისა და სეისმომედეგობის გამოკვლევა“. ნაშრომმა დიდად წასწია წინ სტატიკური მდგრადობისა და სეისმურ ზემოქმედებაზე კონტრფორსული კაშხალების გაანგარიშების თეორია.

ნ. მოწონელიძე იმ მეცნიერთა-განა, ვინც ჰიდროტექნიკური ნაგებობათა სტატიკურ და დინამიკურ გაანგარიშებებში პირველმა მიმართა მატრიცების თეორიას, რამაც განაპირობა გამოთვლითი მანქანების როლისა და ეფექტიანობის ამაღლება. მან პირველმა გამოიყენა ეს მეთოდები სხვადასხვა ტიპის კონტრფორსული კაშხალების მდგრადობისა და სეისმურ ზემოქმედებათა გაანგარიშებისას.

მნიშვნელოვანია ნ. მოწონელიძის ღვაწლი სსრ კავშირის პირველი მაღლადი კონტრფორსული კაშხალების დაპროექტებისა და მშენებლობის საქმეში.

პროფესორ ნ. მოწონელიძეს გამოქვეყნებული აქვს 90-მდე სამეცნიერო ნაშრომი კაშხალთმშენებლობისა და ნაგებობათა თეორიის საკითხებზე. მისი მრავალწლიანი ნაყოფიერი კვლევის შედეგები განზოგადებულია მონოგრაფიაში: „კონტრფორსული კაშხალების მდგრადობა და სეისმომედეგობა“, რომელიც 1971 წელს გამოსცა მოსკოვში გამომცემლობა „ენერგიამ“.

ამჟამად ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა კათედრაზე ნ. მოწონელიძის ხელმძღვანელობით მუშავდება მასიური კონტრფორსული კაშხალების სიმტკიცეზე გაანგარიშების თეორია ჩანაკერებისა და ფუძის დამყოლობის გათვალისწინებით, თხელი კონტრფორსულის ერძით ღონეზეზე მდგრადობისა და მრავალთაღოვანი კაშხალების დინამიკისა და სეისმომედეგობის საკითხები. მიტად აქტუალურია გამოკლებულია გულგრილი პარადოქსობას; მისი მხატვრული ღირძია სკულპტურული ჯგუფი „საბჭოთა ხელისუფლებისათვის“. ავტორი გაბლავთ დღეს საქართველოში ერთერთი ყველაზე სახელმოხვეჭილი არქიტექტორი და მხატვარი ზურაბ წერეთელი. მას ეკრიპიდან და ამერიკიდან იხვეწებიან, შეკვეთები მიიღეთ, ეკი კი „ვალუტიან“ დროს აბაშას ახმარს. ჰაი, ჰაი, რომ ეკუდი პროვინციელი არ არის.

აქ საკითხისო ეზო-ჯარისათვის შემოღებულია შესანიშნავი მცენარეთა მეკვალეული მიხეილ მამულაშვილისა და აკადემიკოს ნიკო კეტოვრელის სახელობის პრიზები. აქ ყოფილი ქვის ქარიერების ქვაბულები წყლით აუვსიათ და ეს ტბები აბაშელებს ტონობით ეკუნახალ თევზს აძლევს.

რაიონის ხელისუფლებამ გზის გაფართოება მოისურვა და გზისპირა მოსახლეებს სთხოვა, ორივე მხრიდან სამ-სამი მეტრი მიწის ნაკვეთი დაეთმოთ. რამდენჯერ აღუწერია მსოფლიო ლიტერატურას ბრძოლა მტკვილი მიწისათვის? აბაშაში ამ თხოვნას ყველა ერთსულოვნად გამოეხმაურა. რამ შეა ეს ერთსულოვნება?

ისტორია, საორგანიზაციო საკითხები, ეკონომიკური მოტივები

როცა 1973 წლის მაისის მიწურულს აბაშაში პირველად ჩამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ახალი მდივანი, შენობასთან, რომელშიც ახლანდელი რაიკომის მდივანი აირჩიეს, თავი მოეყარა მრავალთა-სიან ბრბოს — აბაშელებსა და რაიონის სოფლების მკვიდრთ. ცენტრალური კომიტეტის თანამშრომლებმა თან წაიღეს განცხადებებისა და საჩივრების მთელი დასტები. ძნელი მისახვედრი არ არის, რამდენად დიდი იყო წინა ხელმძღვანელობის მიმართ უკმაყოფილება და ისიც, რომ ახალ ხელმძღვანელობას ვირფერი მიმკიდრეობა ერქვა.

ვინ არ იცის, რომ ქერდება, ქრთამი და ცილისწამება ძმები არიან, რომ სინთლეს წყვდიადი უჩრევნიათ და სწორ გზას — დახლართული ბილიკები.

თავიდან ჩახჩობის საშიშროება შეიქმნა — არა წინანდელ, ხელმოწერილ საჩივრებში, არამედ ანონიმური წერილების ნიაღვარში. დათხოვნილნი ერთმანეთს ანგარიშს უსწორებდნენ. გაიფურებით ებრძოდნენ ადგილებისათვის. მდგარებას თუ მიეკვლებოდი, მორეგი ჩაგთრევდა. ჯერამ მგილაძემ ტომარაში ჩატენა დაბეზღების წერილები, რათა კულტურის სახლის ხალხით გაჭედილ დარბაზში საჯაროდ ნაკუწებად ექცია. ბეზღიანობამ კალაპოტი იცვალა. რაკი ჯერამ მგილაძეს ამაოდ სწერენ, მაშასადამე ჯერამ მგილაძეზე უნდა წერონ. საშიშია იარაღის დაყრა!

ჩამოდიოდნენ და საქმეში ერკვიოდნენ კომისიები. ბოლოს და ბოლოს, ნათელი გახდა, რომ მუქარა და იერიშები (ფილმი „მშობლიურო ჩემო მიწავ“ ზუსტად გადმოსცემს ამ მხარეს) უნაყოფო იყო. და ნაკადი დაიწრიტა. დაშრიტა აბაშაში მთელი ლიტერატურული ეანი, თუმცა რაიკომი თანამდებობიდან ხსნიდა ოკეანეს, ვისაც ეს თანამდებობა ღირსეულად და საქმიანი თვისების გამო არ ეკავა.

(გაგრძელება იქნება).

... ლენინური გზა

... ...

ბოლო ... ...

ლ. უტიოსოვი:

«ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ»

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კოკშირის ხელოვნების მუშაკთა სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მედეა ძიძიგურის შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. გონგლიაშვილი (ფორტეპიანო), მედუდუკითა ანსამბლი „სოინარი“ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის გ. ქსოვრელის ხელმძღვანელობით, საქართველოს ფილარმონიის სოლისტი ს. ნაკვალაძე (გიტარა).

საღამოს უძღვებოდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. თაბუკაშვილი.

ქართველმა მომღერალმა ჩვეული ოსტატობით და სინატიფით შეასრულა საბჭოთა კომპოზიტორთა სიმღერები, ძველი თბილისის მოტივები და რუსული რომანსები. კონცერტის დამთავრების შემდეგ მომღერალს მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. კოზლოვსკი, რსფსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი მ. ფრადკინი, საბჭოთა საესტრადო ხელოვნების დიდოსტატი ლ. უტიოსოვი, რომელმაც თქვა: „ვერ ვფარავ ჩემს აღტაცებას... თითქოს დამბრუნდა შორეული ბავშვობა და ახალგაზრდობა. ქართველ ხალხს ოდითგან მოსდევს სიმღერის ნიჭი, დღევანდელი საღამო ამის დადასტურებაა. მ. ძიძიგურმა იცის და უყვარს სიმღერა. ამას დაუმატეთ ხმის მომხიბლავი ტემბრი. დიდი გემოვნებით შედგენილმა რეპერტუარმა თავისებური ეში და ლაზათი შემატა დღევანდელი საღამოს საზეიმო ეფერადობას, დიდი მადლობა ასეთი სიამოვნებისათვის“.

ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ პ. ჩაიკოვსკის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობდა მოსკოვის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი და საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ლაურეატი ნ. შტარკმანი. დირიჟორობდა ვახტანგ მაჭავარიანი. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის დებიუტი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში დაემთხვა საერთაშორისო მუსიკალური ხელოვნების დღეებს.

ქართველი დირიჟორი საკმაოდ რთული პროგრამით წარდგა მსმენელთა წინაშე. შესრულდა ბრამსის მეოთხე სიმფონია, შოპენის II საფორტეპიანო კონცერტი და პ. დიოკას ვირტუოზული პიესა „ჯადოქრის მოწვეა“.

კონცერტს დამსახურებული წარმატება ხვდა წილად.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲐ ᲛᲔᲢᲡ ᲒᲕᲐᲕᲐᲚᲔᲑᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონზე საზეიმო განწყობილება სუფევდა. მოსკოვის ტორპედოელებთან მატჩის წინ თბილისელ დინამოელებს ფეხბურთის გულშემატკივრებმა ამაღელვებელი შეხვედრა მოუწყეს. საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს უფროსის მოადგილემ, წარსულში სახელმოხვეჭილმა მეკარემ ლევ იაშინმა და საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ დავით პერტენავამ თბილისის დინამოელთა ფეხბურთელების ჯგუფს გადასცა სპორტის დამსახურებული ოსტატისა და ერთ ნაწილს კი საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნიშნები. ამის შემდეგ, ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებულმა თბილისის „დინამომ“ მწვანე მინდვრის გარშემო სპატიო წრე შემოიარა...

ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓ „დინამომ“ მატჩი უყიფიანოდ ითამაშა. ფეხბურთის ქომაგებს უთუოდ ახსოვთ, რომ იგი რეკორდში უელსის ნაკრებთან შეხვედრისას დამავდა. ბუნებრივია, ამ გარემოებამ გარკვეული ღაღი დასცა თბილისელთა ნახევარდაცვისა და თავდასხმის ხაზებში ურთიერთმოქმედების სიზუსტეს. მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა თანდათან ხელთ იგდეს ტერიტორიული უპირატესობა. უფრო მეტიც, მეორე ტაიმში თბილისელები, რომ იტყვიან, მეტოქეთა საჯარიმო მოედანზე „დასახლდნენ“ და ამტომაც ტორპედოელებმა თამაშის ძირითადი აქცენტი დაცვით ფუნქციებზე გადაიტანეს. თუმცა, როდესაც შთამბეჭდავიც არ უნდა იყოს ეგრეთწოდებული ტერიტორიული უპირატესობა, მას თუ არ ახლავს გეგმაზომიერი და გოლით დამაგვირგვინებელი იერიშების მაორგანიზებელი ძალა, იგი სასურველ შედეგს ვერ მოგვიტანს. და აკი ასეც მოხდა, თბილისელებმა ამჯერად სწორედ ამის გამო ვერ შეძლეს მეტოქეთა კარის აღება. ცხადია, ეს მარტო იმან როდი განაპირობა, რომ გუნდის შემადგენლობაში არ გახლდათ თამაშის მთავარი ორგანიზატორი. ამ მატჩში მასპინძლებს გოლის გატანის არაერთი შესაძლებლობაც ჰქონდათ, რამდენჯერმე ტორპედოელებმაც შექმნეს დინამოელთა კართან სახიფათო მომენტები, მაგრამ კარში დარტყმის უზუსტობამ ორივე გუნდის მეცადინეობა ნულოვან ფრაზე შეაჩერა.

უკანასკნელ ხანს პრესაში ბევრი დაიწერა იმის თაობაზე, რომ ფეხბურთელები უმრავლეს შემთხვევაში ვერ იყენებენ გოლის გატანის ამკარა შესაძლებლობებს. და როდესაც თავმოსაბეზრებელიც უნდა იყოს ამ საკითხზე ხშირად ყურადღების გამახვილება, ჩვენ მაინც მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ გარემოებაზე საუბარი და კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ ფეხბურთელებს ის ჭეშმარიტება, რომ ფეხბურთი გატანილი გოლებით

ᲡᲡᲡᲠ ᲙᲐᲨᲨᲘᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘᲒᲐᲨᲘ

არის ესოდენ ლამაზი და წარმტაცი.

და მაინც, თბილისელთაგან უნდა აღინიშნოს დაცვაში კოსტავას, ჩივაძის, ხინჩაგაშვილისა და თავაძის, აგრეთვე, ნახევარდაცვაში დარასელიას გონივრული თამაში, ხოლო ტორპედოელთაგან — მეკარე ჩანოვისა. სამართლიანობა მოითხოვს თქვას ისიც, რომ ორივე მეტოქის კარის უსაფრთხოების ორგანიზებაში გარკვეული წვლილი სწორედ ამ ფეხბურთელებს მიუძღვით.

თბილისის „დინამომ“ ამჯერად ასეთი შემადგენლობით ითამაშა: გაბელია, კოსტავა, ჩივაძე, ხინჩაგაშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულკვაღლიძე, გუცაევი, ჯოხაძე (მინაშვილი), შენგელია.

ცხადია, გუშინდელი მატჩის შედეგმა თბილისის „დინამოს“ ქომაგთა გულები ვერ მოიგო და მატჩის წინ შექმნილი საზეიმო განწყობილება ერთგვარად გაფერმკრთალა. მაგრამ უნდა ვივარაუდოთ, რომ თანდათან ყველაფერი თავის ადგილზე დადგება და კოლექტივი მისთვის ჩვეული ლაი თამაშით და გაახრებულ საერიშო მოქმედებათა შედეგად მეტოქეთა კარში გატანილი გოლებითაც გაგვახარებს.

ჯ. ენუქიძე.

სურათებზე: მარცხნივ: თბილისის დინამოელთა კაპიტანი ა. ჩივაძე ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასით და რ. შენგელია; მარჯვნივ — ლ. იაშინი ნ. ახალკაცს გადასცემს სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის ნიშანს.

ს. კილაძის ფოტო.

ᲡᲮᲕᲐ ᲛᲐᲢᲩᲔᲑᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების მეცამეტე ტურის დანარჩენი მატჩები. გთავაზობთ შედეგებს:

„არარატი“-ცსკა — 1:0
„ზენიტი“-„ჩერნომორეცი“ — 1:2
„დინამო“ (მნ)-„დინამო“ (კ) — 0:1
„სპარტაკი“-„შახტიორი“ — 1:0
„ყაირათი“-„ნეფთჩი“ — 2:0
„ფახთაკორი“-ასკ — 1:2
„ტავრია“-„ყუბანი“ — 3:1.

ᲒᲐᲜᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„დინამო“ (კ)	12	8	4	0	13-4	20
„ტორპედო“	12	6	4	2	12-6	16
„სპარტაკი“	11	6	2	3	19-12	14
ცსკა	12	5	4	3	15-11	14
„დინამო“ (თბ)	12	5	3	4	18-11	13
„დინამო“ (მ)	12	5	3	4	15-10	13
„ზენიტი“	12	5	3	4	15-13	13
„ყაირათი“	12	4	5	3	13-12	13
„არარატი“	13	4	5	4	10-10	13
„დინამო“ (მნ)	11	4	4	3	10-9	12
„ტავრია“	13	4	4	5	11-12	12
„ნეფთჩი“	13	3	6	4	8-13	12
„შახტიორი“	11	4	2	5	12-11	10
„ყუბანი“	13	4	2	7	10-14	10
ასკ	12	3	4	5	13-20	10
„ჩერნომორ.“	12	3	3	6	9-14	9
„დნეპრი“	12	2	3	7	9-21	7
„ფახთაკორი“	11	2	1	8	8-17	5

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

თანდათან სახეს იცვლის, მშენდება მშობლიური ქალაქი. მას არაერთი ახალი შენობა, სკვერი თუ მოზაიკური კედელი შეემატა. მათთან ერთად ქალაქის ცენტრი დაამშვენა შადრევანმაც, რომელიც ერთ-ერთი საუკეთესო დასასვენებელი ადგილია ლანჩხუთში. (**„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ“, ლანჩხუთი**).

* * *

ᲒᲣᲮᲣᲢᲘ ოუროკაია შარშანდელი „თბილისობის“ მონაწილეა. მას თან ჰქონდა წყობილი თვალსიერ ნაოსტატარი ჯარგვალი და დიდი რუფონებით ნაგრეგები ნივთები, გარდასული დროთა საოჯახო, სამეურნეო და საბრძოლო ხელსაწყო-იარაღების ნიმუშები, რევოლუციამდელი გლეხის ოჯახის ატრიბუტები, რომელსაც უამრავი დამთვალიერებელი ჰყავდა. შემდეგ მან ჯარგვალი ნივთებიანად დიდაქალაქის ეთნოგრაფიულ მუზეუმს გადასცა. ზუგდიდში დაბრუნებულმა ბ. ოუროკაიამ ახალი ჯარგვალი ააგო, დიდი გატაკებით შეუდგა ახალ სიძველეთა შეგროვებას და მოკლე დროში აღადგინა, გაამდიდრა „საოჯახო მუზეუმი“, რომლის ჯარი ოიაა ყველა დამთვალიერებლისათვის (კ. მარქსის ქუჩის პირველი შესახვევი, № 5). ენთუზიასტი კოლექციონერის მიზანია უჩვენოს ახალგაზრდობას, როგორ ცხოვრობდით ძველად, როგორ ცხოვრობთ ახლა. (**„ᲛᲔᲒᲠᲔᲚᲘ“, ზუგდიდი**).

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲣᲠᲘ ᲓᲦᲘᲣᲠᲔᲑᲘ

«ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐ ᲡᲘᲐᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ»

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ კოკშირის ხელოვნების მუშაკთა სასახლის დიდ დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის მედეა ძიძიგურის შემოქმედებითი საღამო, რომელშიც მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. გონგლიაშვილი (ფორტეპიანო), მედუდუკითა ანსამბლი „სოინარი“ საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის გ. ქსოვრელის ხელმძღვანელობით, საქართველოს ფილარმონიის სოლისტი ს. ნაკვალაძე (გიტარა).

საღამოს უძღვებოდა საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი მ. თაბუკაშვილი.

ქართველმა მომღერალმა ჩვეული ოსტატობით და სინატიფით შეასრულა საბჭოთა კომპოზიტორთა სიმღერები, ძველი თბილისის მოტივები და რუსული რომანსები. კონცერტის დამთავრების შემდეგ მომღერალს მიესალმნენ სსრ კავშირის სახალხო არტისტი ი. კოზლოვსკი, რსფსრ სახალხო არტისტი, კომპოზიტორი მ. ფრადკინი, საბჭოთა საესტრადო ხელოვნების დიდოსტატი ლ. უტიოსოვი, რომელმაც თქვა: „ვერ ვფარავ ჩემს აღტაცებას... თითქოს დამბრუნდა შორეული ბავშვობა და ახალგაზრდობა. ქართველ ხალხს ოდითგან მოსდევს სიმღერის ნიჭი, დღევანდელი საღამო ამის დადასტურებაა. მ. ძიძიგურმა იცის და უყვარს სიმღერა. ამას დაუმატეთ ხმის მომხიბლავი ტემბრი. დიდი გემოვნებით შედგენილმა რეპერტუარმა თავისებური ეში და ლაზათი შემატა დღევანდელი საღამოს საზეიმო ეფერადობას, დიდი მადლობა ასეთი სიამოვნებისათვის“.

ᲓᲘᲠᲘᲟᲝᲠᲘᲡ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ პ. ჩაიკოვსკის სახელობის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა მუსიკალური საღამო, რომელშიც მონაწილეობდა მოსკოვის ფილარმონიის სიმფონიური ორკესტრი და საერთაშორისო მუსიკალური კონკურსების ლაურეატი ნ. შტარკმანი. დირიჟორობდა ვახტანგ მაჭავარიანი. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა ქართველი მუსიკოსის დებიუტი ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში დაემთხვა საერთაშორისო მუსიკალური ხელოვნების დღეებს.

ქართველი დირიჟორი საკმაოდ რთული პროგრამით წარდგა მსმენელთა წინაშე. შესრულდა ბრამსის მეოთხე სიმფონია, შოპენის II საფორტეპიანო კონცერტი და პ. დიოკას ვირტუოზული პიესა „ჯადოქრის მოწვეა“.

კონცერტს დამსახურებული წარმატება ხვდა წილად.

დ. მაჭავარიანი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲐᲓᲒᲘᲚᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲖᲔ

ᲐᲮᲛᲔᲢᲘᲡ ადგილობრივი მრეწველობის კომბინატისათვის მეათე ხუთწლედი იღლიანი გამოდგა. მას კომბინატის შრომითი კოლექტივი წოდელდროშვანსაც უწოდებს, რადგან ხუთწლედის პირველ სამ წელიწადს კომბინატმა თავისი შრომითი მაჩვენებლების მიხედვით ზედიზედ სამჯერ მოიპოვა რესპუბლიკური გარდამავალი წოდელი დროშა, ხოლო ბოლო ორ წელიწადს — ზედიზედ ორჯერ საკავშირო გარდამავალი წოდელი დროშა.

საბჭოთა საქართველოს მე-60 წლისთავის საიუბილეო დღეებში საბერიოს გორაზე, გამარჯვების ტყე-პარკში, იქ, სადაც მუდმივად კამკაშებს შინმოუსვლელთა ხსოვნის ვარსკვლავი, კომბინატმა ააშენა „გამარჯვების სახლი“. იგი აშენდა ცეკავშირის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს მიერ დამტკიცებული პროექტით, რომლის შექმნაშიც აქტიურად მონაწილეობდა თვით კომბინატის კოლექტივი. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოებიც კომბინატის მუშაკებმა შეასრულეს.

მშენებლობაში თავი გამოიჩინეს კომბინატის მუშებმა და მშენებლებმა ვ. კუბლაშვილმა, ხის მხატვრულმა გამფორმებლებმა კ. მახარაშვილმა, ნ. ქინქლაძემ, გ. ლომიძემ, თ. ნარუსლიშვილმა, თვითნასწავლმა მოქანდაკემ, დეკორატორმა გ. მგელიაშვილმა, გარემო მოპირკეთების ოსტატმა ა. ქისტაურმა, ინჟინერმა ვ. ქობულაშვილმა და სხვებმა.

„გამარჯვების სახლი“ — გმირთა მარადიული ხსოვნის სიმბოლო — საბერიოს გორიდან ამაყად გადასცქერის ახმეტის რაიონს.

დ. ᲒᲔᲠᲒᲘᲨᲕᲘᲚᲘ,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: „გამარჯვების სახლი“ საბერიოს გორაზე.

Ო. ᲛᲐᲠᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ფოტო.

ᲕᲣᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲗ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲡ

„ᲓᲐᲕᲠᲒᲝᲗ, ᲛᲝᲕᲣᲐᲠᲝᲗ“

ᲬᲚᲔᲣᲚᲨᲘ ჩვენი გაზეთის 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა ინფორმაცია „დავრგოთ, მოვუაროთ“, რომელთან დაკავშირებითაც რედაქციამ მიიღო მკითხველთა წერილები. ისინი გვთხოვდნენ გვეცნობებინა, თუ სად შეიძლება „იდეალის“ ჯიშის კაკლის ხის ნერგის შოვნა.

რედაქციამ მიიღო წერილი აგრეთვე აბაშის რაიონის სოფელ ონტოფოს მკვიდრ რ. ნადარეიშვილისაგან, რომელიც ფაქტობრივად უპასუხებს ამ კითხვას. აი ისიც.

„დასავლეთ საქართველოს კლიმატურ პირობებს კარგად შეეგუა სწრაფმსხმოიარე ბერძნული კაკალი „იდეალი“, რომელიც გამოყვანილია უზბეკეთის სსრ აკადემიკოს რ. შრედერის სახელობის მთის მებაღეობისა და მევენახეობის ინსტიტუტის საცდელ სადგურში (ტაშკენტის ოლქი, ზემო ჩირჩიკის რაიონი, ხიდჯიკენტი).

„იდეალის“ თესლი საფოსტო ამანათით მივიღე 1965 წლის გაზაფხულზე. მცენარემ აღმოცენების შეორე წელსვე გამოისახა რამდენიმე ნაყოფი, ხოლო 4-5 წლის შემდეგ სრული მსწმოიარე გახდა.

„იდეალი“ ამჟამად მოშენებულია აბაშის რაიონის სოფლებში: ონტოფოში, ძველ აბაშაში, მარანში, აგრეთვე სამტრედიის, ონისა და ამბროლაურის რაიონების ზოგიერთ სოფელში. იგი კარგად შეეგუა თბილისის პირობებსაც. საცდელად „იდეალი“ დაირგო მცხეთის რაიონის საგურამოს მიდამოების ამხანაგური მებაღეობის ნაკვეთებზე.

1979 წელს ქალაქ ჩიმკენტიდან საფოსტო ამანათით მივიღე მეცნიერი თანამშრომლის ვ. ა. გლაგოლევის მიერ გამოყვანილი სწრაფმსხმოიარე, წელიწადში ორ-მოსავლიანი კაკლის სათესლე ნაყოფი. იგი ორ-ორი ცალი ითესება ისე, რომ შემდეგ ორივე ნერგი ერთმანეთს შეეზარდოს.

„იდეალით“ დაინტერესებულთ უთუოდ დიდ მეცნიერულ და პრაქტიკულ დახმარებას გაუწევს ვ. ა. გლაგოლევი. მისი მისამართია: ქ. ჩიმკენტი, ტიტოვის ქ. № 63, საფოსტო ინდექსი 486050“.

ᲗᲐᲝᲚᲜᲝᲒᲐᲛ ᲤᲠᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲚᲐ

ᲝᲜᲘ. (**საკ. კორ.**). რაიონში ფართოდ გავრცელდა თაოსნობა დევიზით: „ჯარისკაცულ ბიბლიოთეკას — კომკავშირული ზრუნვა“. მისი მიზანია საბჭოთა არმიის სამხედრო ნაწილებში სსრ კავშირის ხალხთა ენებზე ჯარისკაცთა ბიბლიოთეკის შექმნა.

პატრიოტულ მოძრაობაში მრავალმა კომკავშირულმა ორგანიზაციამ მიიღო მონაწილეობა. მისმა წევრებმა საზოგადოებრივ საწყისებზე დიდძალი წიგნები შეაგროვეს და უკვე ერთ-ერთ სამხედრო ნაწილში გაგზავნეს ქართული ბიბლიოთეკის მოსაწყობად.

ამ დღეებში კომკავშირის ონის რაიკომმა სამხედრო ნაწილიდან ბარათი მიიღო. მისი ავტორები მხურვალე მადლობას უხდიან კომკავშირული ორგანიზაციის წევრებს, რომლებმაც თავიანთი წვლილი შეიტანეს სამხედრო ნაწილში ქართული ბიბლიოთეკის შექმნის კეთილშობილურ საქმეში.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲘᲒᲐ

ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲥᲣᲚᲘᲗ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის პირველი წრის ბოლო, მეთხუთმეტე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია: სტეფანაკერტის „ყარაბახი“-ლენინაკანის „შირაკი“ — 2:0, ბორჯომის „კოტაიკი“-რუსთავის „მეტალურგი“ — 2:0, აშხაბადის „კოლხოზჩი“-გორის „დილა“ — 3:1, ლენქორანის „ხაზარი“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 2:0, ოქტომბერიანის „სპარტაკი“-ბათუმის „დინამო“ — 2:1, ნახიჩევანის „არაზი“-სოხუმის „დინამო“ —3:0, კიროვაბადის „პროგრესი“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 1:3, მინგეჩაურის „ავტომობილისტი“-ფოთის „კოლხეთი“ — 2:2.

პირველი წრე 23 ქულით დაამთავრა „კოტაიკმა“. სამტრედიის „ლოკომოტივი“ მას მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება.

ᲝᲠᲘᲝᲮᲔ ᲓᲦᲔᲪ ᲓᲐ...

ᲞᲐᲠᲐᲚᲐᲕᲘ დაწყებული კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირის ზედიზედ ორი მატჩი მოიგო სსრ კავშირის ნაკრებმა. ჩვენმა სპორტსმენებმა ჯერ ჩეხოსლოვაკიის გუნდი დაამარცხეს (110:84), შემდეგ კი ესპანეთის ნაკრები (110:101). იუგოსლავებმა მოუგეს ისრაელის კალათბურთელებს (102:87), ესპანელებმა — იტალიელებს (87:86), ჩეხოსლოვაკიელებმა — იტალიელებს (100:83). გთავაზობთ ფინალური ტურნირის დანარჩენი მატჩების განრიგს. **8 ივნისი.** ესპანეთი — იუგოსლავია, სსრ კავშირი— ისრაელი; **4 ივნისი.** იუგოსლავია — ჩეხოსლოვაკია, ისრაელი—იტალია; **5 ივნისი.** ამ დღეს გაიმართება შეხვედრები პირველი და მესამე ადგილებისათვის. 3 ივნისის მატჩები გვიან ღამით დამთავრდა.

გუშინდელი მატჩების შედეგებს თუ არ გავითვალისწინებთ, გუნდების სატურნირო მდგომარეობა ასეთია: სსრ კავშირი — 8 ქულა, ესპანეთი —6, ჩეხოსლოვაკია და იუგოსლავია —4-4. ისრაელისა და იტალიის გუნდებს ფინალურ ჯგუფში ჯერ ქულაც არა აქვთ. ორიოდე დღეც, და გაირკვევა ევროპის ჩემპიონატის პრიზიორთა ვინაობა.

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡᲐ და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონებმა მოსკოველმა ოლიმ მოროზოვამ და თბილისელმა ალექსანდრე მეტრეველმა სოხუმის ახალგახსნილ სტადიონზე პირველი შეჯიბრების ალამი აღმართეს. ყველაზე დაინტერესებული მაყურებლები იყვნენ აფხაზეთის საბინაო-კომუნალური მეურნეობის სამინისტროს სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მუშები, რომლებმაც ააგეს ეს ხუთკორტიანი ბრწყინვალე სპორტული კომპლექსი.

აქ გაიმართა საბჭოთა საქართველოს და აფხაზეთის 60 წლის თავისადმი მიძღვნილი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ქვეყნის უძლიერესი ჩოგბურთელები. ვაჟთა შეჯიბრებაში გაიმარჯვა ევროპის 1980 წლის ჩემპიონმა მინსკელმა ს. ლეონიუკმა, მეორე იყო მისი თანამემამულე ა. დემიდენკო. მესამე ადგილი წილად ხვდა ევროპის ჩემპიონს მოსკოველ მ. ბორისოვს.

მოსკოვის წარმომადგენლები უძლიერესნი იყვნენ ქალთა შეჯიბრებაში. გაიმარჯვა ევროპისა და სსრ კავშირის მრავალგზის ჩემპიონმა ე. გრანატუროვამ. მასთან ერთად საპატიო კვარცხლბეკზე ავიდნენ ს. ჩერნევა და ე. პოლიაკოვა.

ვაჟთა წყვილებში უძლიერესნი იყვნენ ა. დემიდენკო და მოსკოველი კ. რაჩკოვსკი, რომლებმაც ფინალში დამარცხეს ვ. ბორისოვი და ს. ლეონიუკი. მესამე ადგილზე გავიდა გ. ძელდე (რიგა)-ო. ბელოვის (მოსკოვის ოლქი) წყვილი.

ე. გრანატუროვა-ს. ჩერნევას წყვილი საუკეთესო იყო ქალთა თანრიგში. მოსკოველებმა ე. პოლიაკოვამ და ვ. მიკლაშევსკაიამ მეორე ადგილი დაიკავეს. მესამე ადგილი წილად ხვდათ თბილისელ დებს ი. და მ. მალაკიძეებს.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲚᲘᲒᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ

ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ მეორე ლიგის IX ზონის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ასპარეზობის პირველი წრის ბოლო, მეთხუთმეტე ტურის მატჩები. შედეგები ასეთია: სტეფანაკერტის „ყარაბახი“-ლენინაკანის „შირაკი“ — 2:0, ბორჯომის „კოტაიკი“-რუსთავის „მეტალურგი“ — 2:0, აშხაბადის „კოლხოზჩი“-გორის „დილა“ — 3:1, ლენქორანის „ხაზარი“-თბილისის „ლოკომოტივი“ — 2:0, ოქტომბერიანის „სპარტაკი“-ბათუმის „დინამო“ — 2:1, ნახიჩევანის „არაზი“-სოხუმის „დინამო“ —3:0, კიროვაბადის „პროგრესი“-სამტრედიის „ლოკომოტივი“ — 1:3, მინგეჩაურის „ავტომობილისტი“-ფოთის „კოლხეთი“ — 2:2.

პირველი წრე 23 ქულით დაამთავრა „კოტაიკმა“. სამტრედიის „ლოკომოტივი“ მას მხოლოდ 1 ქულით ჩამორჩება.

ᲡᲐᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲝᲡ ᲛᲔᲪᲐᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ

ᲬᲧᲐᲚᲑᲣᲗᲘ. ლვოვში დამთავრდა „დინამოს“ ცენტრალური საბჭოს საკავშირო შეჯიბრება, რომელშიც პირველობა მოიპოვეს კიეველებმა. შესაბამისად მომდევნო ადგილები დაიკავეს მოსკოველებმა, ალმაათელებმა და ერევნელებმა.

ᲮᲔᲚᲑᲣᲗᲘ. მოსკოვში მიმდინარეობს საკავშირო თასის გათამაშების ფინალური შეჯიბრება ვაჟთა გუნდებს შორის. თასისათვის ბრძოლაში ჩაება ოთხი კოლექტივი. ასპარეზობის პირველ დღეს თბილისის „ბურევესტნიკი“ დამარცხდა ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტის გუნდთან (28:30), ხოლო მინსკელმა არმიელებმა მოუგეს ლვოველ თანამკლუბელებს (39:28). გუშინ გაიმართა მეორე ტურის შეხვედრები. შედეგები ასეთია: ლვოვის ასკ-ზაპოროჟიეს ინდუსტრიული ინსტიტუტი — 20:30, თბილისის „ბურევესტნიკი“-მინსკის ასკ — 27:32.

ᲞᲐᲓᲠᲐᲯᲘ. პოლონეთის ქალაქ პიოტრკოვ-ტრიბუნალსკში დასასრულს მიუახლოვდა ქალთა საერთაშორისო შეჯიბრება. 11 ტურის შემდეგ დაწინაურდნენ პოლონელები გრაჟინა შმაცინსკა და ქრისტინა რაძიკოვსკა. მათ 7,5-7,5 ქულა აქვთ. თბილისელმა თამარ ხუციშვილმა და პოლონელმა ჰანაერენსკა-რაძეევსკამ 6,5-6,5 ქულა დააგროვეს.

ᲕᲔᲚᲝᲠᲣᲡᲘᲐ. ინგლისის გზებზე გრძელდება მრავალდღიანი ველორბოლა. მერვე ეტაპი (120 კმ) მოიგო კუბიაბშვილმა ანდრია ვედერნიკოვმა. მეორე იყო ინგლისელი ბობ დაუნსი, ხოლო მესამე — კუბიაბშველი სერგი კროვოშეევი. სიერთო ჩათვლაში წინაარის პოლონელი ზბიგნევ შჩეპკოვსკი. მას 26 წამით ჩამორჩება ვედერნიკოვი. გუნდურ ჩათვლაში პოლონელები არიან პირველ ადგილზე. საბჭოთა ნაკრები მეორეა.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲑᲝᲡ. ბერლინის „დინამომ“ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ჩემპიონატის ბოლო მატჩში დაამარცხა თბილისის მფლობელთა თასის გათამაშების ფინალში თბილისის „დინამოს“ ამასწინანდელი მეტოქე — იენის „კარლ ცაისი“ და პირველობა მოიპოვა. ბერლინელებმა 39 ქულა დააგროვეს. „კარლ ცაისი“ 36 ქულით მეორე ადგილზე გამოვიდა, ხოლო „მაგდებურგი“ — მესამეზე — 34 ქულა. დამთავრდა აგრეთვე საფრანგეთის ჩემპიონატიც. პირველობა მოიპოვა „სენტ-ეტიენმა“. შესაბამისად მეორე-მესამე ადგილები დაიკავეს „ნანტმა“ და „ბორდომ“.

ᲩᲝᲒᲑᲣᲗᲘ. გადამწყვეტ-ფაზაში შევიდა საფრანგეთის ლიგა ჩემპიონატი, რომელიც პარიზში მიმდინარეობს. ვაჟთა ნახევარფინალში გავიდა ბორნ ბორგი (შვეიცია). მან მეოთხედფინალში დაამარცხა ბალაშ ტარიკი (უნგრეთი) — 6:3, 6:3, 6:2. ნახევარფინალში მისი მეტოქე იქნება პარაგვაელი ვიქტორ პეჩი, რომელმაც მეოთხედფინალში დაამარცხა იანიკ ნოა (საფრანგეთი) — 3:6, 6:4, 6:4, 6:4. ცნობილია ქალთა ნახევარფინალის ორი მონაწილეც: ჰანა მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია) და კრის ევერტ-ლლოიდი (აშშ). პირველმა მეოთხედფინალში მოუგო კეი რინ�ლდს (აშშ) — 6:1, 6:3, მეორემ — რუმინელ ვირჯინია რუეიცის — 6:4, 6:4.

ᲡᲐᲤᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲞᲠᲒᲠᲐᲛᲐ

ᲤᲣᲢᲑᲝᲚᲘ

4 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ

პირველი პროგრამა: 09.00 — „ვრემია“ (მ.), 09.40 — მულტიპლიკაციური ფილმი, 10.00 — „მოამბე“, 10.30 — დოკუმენტური ფილმი „ედუარდ ტისე“, 11.40 — მხატვრული ფილმ